The main task of the works done by international group including Georgian, French, German British and Greek researchers was elaboration of optical resonance spectrometry method of detection and treatment of pathogenic nanobiostructures including corona type viruses [50,51].

Viruses and their genomes are mostly enclosed and protected by spherical capsids - symmetric coats or shells composed primarily of multiple copies of protein subunits (Fig.5). Aside from serving as a protective layer, capsids are involved with various other aspects of their respective virus life cycles including timely viral genome encapsulation (self - assembly and






**Fig.3. Operational scheme of the genetic algorithm (GA). In this scheme an initial population with 3 chromosomes is shown. A fitness value is assigned for each chromosome through the fitness function ( $F$ ). Note that the chromosome with less fitness is discarded in the selection stage, while the larger one is doubly copied and the second largest fitness receives a copy. It is observed that the chromosome is mutated through the mutation operator in the second moment, and the other two chromosomes are crossed through the crossover operator.**

genome packaging), cell-to-cell virus transport, entry into host-cell (e.g., via cell receptor binding), genome release into host cell, etc. Despite their central importance to the life cycle, the various evolutionary pressures acting on spherical capsids are not well known. Half a century of empirical data has uncovered a large array of capsids sizes that range from tens to many thousands in subunit composition. Spherical capsids of all observed sizes may be obtained from a grouping of twelve pentamers (symmetric clusters of five subunits) separated by a variable number of hexamers (clusters of six subunits). This is the case for the T~7d papilloma viruses where all capsomers are made up of five subunits but they are in both hexavalent and pentavalent configuration, and larger viruses whose "hexamers" are actually trimers of "fused" or covalently bonded dimers.

Capsid size may be characterized by two integers,  $h$  and  $k$ , which describe the number of hexamers ( $h \times k$ ) one would have to "walk over" to get from one pentamer to an adjacent pentamer within a completed capsid. The utility of the class system is not entirely lost, however; specific angle patterns within the capsid ensures the existence of distinct hexamer shapes (each shape is colored distinctly in. Evidence indicates that capsid formation is nucleated, often starting with a single capsomer species (e.g., pentamers; for the purposes of this paper, a capsomer is a generally symmetric cluster of either five or six subunits), which then proceeds to completion by the addition of small subunit clusters (or single subunits). In T~1 capsids, where subunits are in identical/equivalent environments, nucleated assembly will be possible with no additional machinery. However, the formation of two or more capsomers from a single interaction site will require the employment of additional machinery to ensure high yields of the native state. For example, quasi-equivalent switches are required for the proper assembly of capsids containing two distinct capsomers: a pentamer and one type of hexamer. The addition of a second hexamer shape necessitates the requirement of a second mechanism such as

auxiliary proteins for proper assembly. For spherical virus capsids requiring more distinct hexamer shapes. Additional mechanisms to stabilize those new shapes at exactly the right positions within the forming capsid are likely to be also needed dominantly form.

Because capsids from different classes display markedly different geometries, they are bound to display different physical properties. The periodic nature of capsid hexamer contents also useful in understanding "T-switching": a process that permits canonical capsid subunits to more easily sample capsids containing similar hexamer shapes. This allows for a segue to understanding currently intractable and deadly pleomorphic viruses like Ebola and arenaviruses. For example, from the above T-switching rule, the available diversity of an arena virus may only be explained if we assume that the biologically relevant form of the arenavirus is the T~12 capsid. Non-icosahedral capsids. Although the framework presented doesn't appear to readily explain non-icosahedral capsids (some are just "slightly" non-icosahedral, such as the natively prolate phi29 capsids, while others are wildly different in form, such as Ebola with its natively filamentous shape), those capsids, like their icosahedral counterparts, also display capsomer sub-structures. In light of this, the geo-



**Fig. 4. Corona virus. <https://www.google.com/url?sa=i&url=https%3A%2F%2Ftheconversation.com%2F4-unusual-things-weve-learned-about-the-coronavirus-since-the-start-of-the-pandemic>.**

metric constraints analogous to endo angles that affect capsomer shape may be useful in obtaining insights into non-icosahedral capsid morphology, behavior, and classification. It will be exciting to see whether incorporating the non-icosahedral capsids into an expanded capsid periodic table will be possible.

All canonical capsids (made up of trapezoidal subunits) may be built from a single type of pentamer and a repertoire of distinct hexamer shapes (colored distinctly only once in each capsid). The hexamer shape is described by the number of endo angles it displays. It is necessary to underline that effect of destroy of enveloped viruses is based on the highly symmetric structure (e.g. icosahedral and others) of many viruses, which leads to a well-defined resonant frequency which may be specifically absorbed by these structures and may subsequently lead to their irreversible damage.

Modeling and Simulation of oscillation effects in different viruses including corona like ones is based on studies of biostructure's physical characteristics, scattering and absorption properties. Estimation of electromagnetic (EM) spectrum and resonance wave length ranges is important for characterization of nano-microscaled particles and determination of biostructures unique spectral signatures, essential in bioagents detecting and identification systems, and becoming as a great challenge in real systems investigations.

Method of estimation of spectral response on EM field & particle interaction is based on solutions of electrodynamics two (2D) or three (3D) dimensional boundary tasks. Analytical expressions of EM fields are derived from rigorous solutions of Maxwell's and Helmholtz's equations and defined through the dimensionless parameters, diameters over an excitation wave-length. It makes possible to apply the classical well-known approach to sub-micro particles characterization.

One of the ways for estimation of resonance frequencies range is the method determining the eigenvalues and corresponding eigenvectors obtained by algebraic system of functional equations which could be written based on the solution of electrodynamic task considering EM wave-VL particle scattering [52]. Algebraic system has more complicated form when VL particle is of core-shell structure with different electric parameters. Resonant wavelength range is predicted theoretically in the vicinity of values corresponding the maximums of intensity of particular scattered partial waves. Estimation of resonant wavelength range based on determination of far-field characteristics such as scattering or absorption cross sections, the intensity of energy, wholly representing the response on wave-particle interaction is considered as the reasonable and decisive solution preferable for studying the spectroscopic properties and determination of possible spectral signatures of bioparticles, viruses.

Method of studying spectroscopic characteristics based on elaborated physical models of viruses represents the new possibility for esti-

mation of spectroscopic properties and resonance wavelength range of viral nanoparticles, virions.

Thus, two main mediums of different structures and properties constitute the virion: capsid of protein capsomeres and nucleic acids into the capsid. Type, number and arrangement of capsomeres and length of nucleic acid are essential in defining the size of capsid designed mostly in near-symmetrical geometry, having the unique self-assemble mechanism. A simple calculation shows, that the ratio of inner (core) and outer spherical volumes of icosahedral capsid of bacteriophage T7 (of diameters inner  $d_1 = 42.6$  nm and outer  $d_2 = 56.6$  nm) is approximately 0.426 [53], so quite a large portion (0.57) of volume in virion is occupied by the capsid proteins. Capsid's size is large enough than the "discrete" nature of protein subunits, therefore the influence of that on capsid whole geometry could probably be less significant. This fact allows virion to be modelled as a spherical core-shell particle of smooth inner or outer surfaces. Core-shell VLP model of spherical geometry could be used as the first approximation of shape-structure of icosahedral unenveloped virion. The structure and geometry of capsids as well as processes happening inside a layer probably dominate in determination of physical, spectroscopic properties of nano-sized particles, virions.

Theoretical approach of studying spectroscopic properties of VLPs is based on classical Maxwell's EM theory, separation of variables method for solving Helmholtz's (wave) equation. Solution of Helmholtz's equation leads to the Bessel's and/or Legendre's equations [54]. EM fields in different areas of VLP are written as the sums of multipole-waves with unknown multipole coefficients. Application of boundary conditions to EM field components on core-shell surfaces and labour consuming mathematical transformations leads to rigorous theoretical solution of EM scattering problem on single VLP particle. Analysis of EM field expressions show that arguments of functions determining the multipole coefficients and scattered fields depend only on relative values of particles diameters over wavelength. Therefore, it makes possible to expand the research area, and the findings of well-established Mie theory [55] considering the light scattering on a homogeneous sphere be applied to nanoparticles of core-shell morphology and particles of biological origin as well.

Spectral response on EM wave-VLP interaction is determined by estimation of far-field ( $r \ll 2d/\lambda$ ) characteristics representing the angular distribution of scattered (absorbed) energy. Scattering properties are characterized via expressions such as: the total scattering cross section

$$\sigma_T = 2\tau \frac{1}{k_s^2} \sum_{s=1}^{\infty} (|A_s^i|^2 + |A_s^o|^2) \frac{s^2(s+1)^2}{(2s+1)}$$

Proposed theoretical solution, analytical expressions of EM fields make possible to estimate the fields in the areas of core, shell and surrounding areas of VLPs. based on machine

learning and modeling techniques have been used for generating a simulated spectrum of nanoparticle of given size and available literature optical constants.

Computer simulation (based on MatLabR2013b software) was carried out for TMV particles characterization. Parameters of TMV particle are obtained from scientific publications based on different measuring technics. Length of TMV virion is 280-300 nm, outer ( $d_2$ ) and inner ( $d_1$ ) diameters of capsid are 18 nm and 4 nm, correspondingly. Two models - homogeneous cylindrical (of diameter) and homogeneous of core-shell structure (of diameters - outer and inner), are used for simulation study of TMV virion. Computer simulation shows, that expected resonant spectral response is observable on far-field characteristics, resonant vibrational frequencies of whole TMV particle may be associated to scattering cross-section maximums.




Figure 5. Viral Capsids and their forms.

Values and locations of maximums strongly depend on dielectric and magnetic parameters, distance between the neighbor maximums increases the longer wave lengths range is.

Near-field distribution presented in a form of isolines of EM field amplitudes), indicates the locations of energy maximums inside and outside of particle. Investigation of EM field distribution makes possible to have insight vision of nanobiparticles [56-59].

Proposed computing model is useful for investigation of spectroscopic properties of nanobiparticles and appreciation of possible resonant wave length ranges correlating with scattering/absorbing efficiency of VLP.

Experimental data obtained by applying exquisite techniques and outcomes of theoretical or simulation models should complement each other and verify factors such as possible anisotropy of core-shell areas of virion, surface roughness and inhomogeneity unforeseen in simplified approaches.

## CONCLUSIONS.

Spectroscopic methods have the characteristic of providing fast results and reliable infor-

mation related to the composition of the samples. The studies presented here have shown promising results in a field of science that needs to be better explored. It has been shown that multivariate analysis techniques are of great importance to analyze spectroscopic data, providing the potential to identify and classify biological samples. We do hope that with advancement in this field of study, spectroscopic methods and tools will be used in bio medicine in the near future. Methods of light therapy of different diseases based on estimation of EM field characteristics and resonant wave ranges based on computer simulation of nanobiparticles characterization will be widely implemented, and possibility of determination of resonant (own) frequencies of entire system of molecules including virions will be a key point for that.

Author is very grateful to the CARYS 19 297 project "Spectrovir1" of Shota Rustaveli Nation-

al Science Foundation of Georgia for support in performing the necessary investigations.

## REFERENCES

1. Marques A.S., de Melo M.C.N., Cidral T.A., de Lima K.M.G. Feature selection strategies for identification of *Staphylococcus aureus* recovered in blood cultures using FT-IR spectroscopy successive projections algorithm for variable selection: a case study. *J. Microbiol. Methods.* 2014;98:26-30.
2. Marques A.S., Moraes E.P., Júnior M.A.A., Moura A.D., Neto V.F.A., Neto R.M., Lima K.M.G. Rapid discrimination of *Klebsiella pneumoniae* carbapenemase 2-producing and non-producing *Klebsiella pneumoniae* strains using near-infrared spectroscopy (NIRS) and multivariate analysis. *Talanta.* 2015;134:126-131.
3. Saade J., Pacheco M.T.T., Rodrigues M.R., Silveira L., Jr. Identification of hepatitis C in human blood serum by near-infrared Raman spectroscopy. *Spectroscopy.* 2008;22:387-395.
4. Theophilou G., Lima K.M.G., Martin-Hirsch P.L., Stringfellow H.F., Martin F.L. ATR-FTIR spectroscopy coupled with chemo-






Figure 6. Fragment of the Algorithm for Releasing the Vibration Frequency Method for Viruses

metric analysis discriminates normal, borderline and malignant ovarian tissue: classifying subtypes of human cancer. *Analyst*. 2016;141:585–594.

5. Baia T.C., Gama R.A., de Lima L.A.S., Lima K.M.G. FTIR microspectroscopy coupled with variable selection methods for the identification of flunitrazepam in necrophagous flies. *Anal. Methods*. 2016;8:968–972.

6. M. Babincová, P. Sourivong, P. Babinec. Resonant absorption of ultrasound energy as a method of HIV destruction, December 2000 *Medical Hypotheses* 55(5):450-1 Follow journal DOI: 10.1054/mehy.2000.1088, SourcePubMed

7. Boonham N., Kreuze J., Winter S., van der Vlugt R., Bergervoet J., Tomlinson J., Mumford R. Methods in virus diagnostics: from ELISA to next generation sequencing. *Virus Res*. 2014;186:20–31.

8. Moor K., Ohtani K., Myrzakozha D., Zhanserkenova O., Andriana B.B., Sato H. Non-invasive and label-free determination of virus infected cells by Raman spectroscopy. *J. Biomed. Opt.* 2014;19:067003.

9. Kervalishvili P., Gotsiridze I., Oscillation and optical properties of viruses and other pathogenic microorganisms, NATO Science series Physics and Biophysics, Springer, 2016, pp. 187-194.

10. Jin N., Zhang D., Martin F.L. Fingerprinting microbiomes towards screening for microbial antibiotic resistance. *Integr. Biol. (Camb)* 2017;9:406–417.

11. Kelly J.G., Trevisan J., Scott A.D., Carmichael P.L., Pollock H.M., Martin-Hirsch P.L., Martin F.L. Biospectroscopy to metabolically profile biomolecular structure: a multistage approach linking computational analysis with biomarkers. *J. Proteome Res*. 2011;10:1437–1448.

12. Kervalishvili, P.J., Bzhalava, T.N. Investigations of Spectroscopic Characteristics of Virus-Like Nano-bioparticles. *Amer. Jour. Cond. Matt. Phys.* vol. 6(1) 2016 pp.7-16.

13. Li Y., Li Q., Wong Y.L., Liew L.S.Y., Kang C. Membrane topology of NS2B of dengue virus revealed by NMR spectroscopy. *Biochim. Biophys. Acta*. 2015;1848:2244–2252.

14. Lambert P.J., Whitman A.G., Dyson O.F., Akula S.M. Raman spectroscopy: the gateway into tomorrow's virology. *Viol. J.* 2006;3:51.

15. Sakudo A., Sugauma Y., Sakima R., Iku-ta K. Diagnosis of HIV-1 infection by near-infrared spectroscopy: analysis using molecular clones of various HIV-1 subtypes. *Clin. Chim.*

*Acta*. 2012;413:467–472.

16. Shahzad A., Köhler G., Knapp M., Gaubitzer E., Puchinger M., Edetsberger M. Emerging applications of fluorescence spectroscopy in medical microbiology field. *J. Transl. Med.* 2009;7:99.

17. Somers, C. M., McCarty, B. E., Malek, F. & Quinn, J. S. Reduction of particulate air pollution lowers the risk of heritable mutations in mice, *Science* 304, 1008–1010 (2004.)

18. Krug, R. M. The potential use of influenza virus as an agent for bioterrorism. *Antiviral Research* 57, 147–150 (2003)

19. P.J. Kervalishvili, P.H. Yannakopoulos . Nuclear Radiation Nanosensors and Nanosensory systems. NATO Science for Peace and Security Series – B: Physics and Biophysics, Springer, 2016, 205 pages.

20. What You Need To Know About Cancer - National Cancer Institute (2006). Available at <http://www.cancer.gov/cancertopics/wyntk/cancer/page9> (11 November 2010).

21. K. -T. Tsen, Shaw-Wei D Tsen, Chih-Lo, Inactivation of viruses with a very low power visible femtosecond laser, *J. Phys.: Condens. Matter* 19, 322102 (9pp) (2007).

22. Ranjan V. Mannige, Charles L. Brooks, III, Periodic Table of Virus Capsids: Implications for Natural Selection and Design, *PLoS ONE* | [www.plosone.org](http://www.plosone.org) March 2010 Volume 5, Issue 3, e9423.

23. Handbook of Semiconductor Manufacturing Technology, 2nd ed., edited by R. Doering and Y. Nishi ,CRC, Boca Raton, ( 2007).

24. T. L. Cromeans, X. Lub, D. D. Erdman, C. D. Humphrey, and V. R. Hill, "Development of plaque assays for adenoviruses 40 and 41," *J. Virol. Methods* 151, 140–145 (2008)

25. W. Hubner, G. P. McNerney, P. Chen, B. M. Dale, R. E. Gordon, F. Y. S. Chuang, X.-D. Li, D. M. Asmuth, T. Huser, and B. K. Chen, "Quantitative 3d video microscopy of HIV transfer across t cell virological synapses," *Science* 323, 1743–1747 (2009)

26. F. V. Ignatovich and L. Novotny, "Real-time and background-free detection of nanoscale particles," *Phys. Rev. Lett.* 96, 013901 (2006)

27. Anirban Mitra, Filipp Ignatovich, and Lukas Novotny "Nanofluidic preconcentration and detection of nanoparticles" Department of Physics and Astronomy, University of Rochester, New York 14627, USA, (Received 2 April 2012; accepted 28 May 2012; published online 2 July, ( 2012)

28. C. Humbert, A. Tadjeddine and B. Busson Sum Frequency generation vibra-

tional spectroscopy of an extramolecular chemical bond *The Journal of Physical Chemistry Letters* 2, 2770–2773 (2011) <http://dx.doi.org/10.1021/jz201282s>

29. Laurent Dreesen, Yannick Sartenaer, Christophe Humbert, Alaa A. Mani, Christophe Methivier, Claire-Marie Pradier, Paul A. Thiry, and Andre Peremans, Probing Ligand-Protein Recognition with Sum-Frequency Generation Spectroscopy: The Avidin-Biotin Case, *ChemPhysChem*, 5, pp.1719–1725, (2004).

30. Kong T. Tsen ; Eric C. Dykeman ; Otto F. Sankey ; Shaw-Wei D. Tsen ; Nien-Tsung Lin, et al. "Probingwater", *J. Biomed. Opt.* 12(2), 024009 (2007) <http://dx.doi.org/10.1117/1.2718935>

31. K T Tsen, Shaw-Wei D Tsen, Chih-Lo, Inactivation of viruses with a very low power visible femtosecond laser, *J. Phys.: Condens. Matter* 19, 322102 (9pp) (2007).

32. Paata Kervalishvili. Medical Sensory Systems: Development Prospective. Workshop on Biomedical Engineering, European Commission, Executive Agency – Education, 11–12,

33. Kervalishvili, T. Berberashvili, L. Chakhvashvili. About Some Novel Nanosensors and Nano sensory systems. *Nano Studies*, 4, 2011, pp 155–164.

34. Paata J. Kervalishvili and Tamara M. Berberashvili. Quantum Effects Based Materials for Nanosensory Systems. Black Sea Energy Resource Development and Hydrogen Energy Problems. NATO Science for Peace and Security Series-C; Environmental Security. Springer. 2013, p.359-372.

35. V. M. Nakariakov, D. Tsiklauri, A. Kelly, T. D. Arber, and M. J. Aschwanden Acoustic oscillations in solar and stellar flaring loops. *Astronomy & Astrophysics*. 414, L25–L28 (2004) DOI: 10.1051/0004-6361:20031738

36. Ujjawal Krishnam, Prafulla K. Jha. On detection and annihilation of spherical virus embedded in a fluid matrix at low and moderate Reynolds number, [arXivhttps://arxiv.org/pdf/2017.09](https://arxiv.org/pdf/2017.09).

37. Roger Cerf, B. Michels, J.A. Schulz, etc. Ultrasonic absorption evidence of structural fluctuations in viral capsids, May 1979. *Proceedings of the National Academy of Sciences* 76(4):1780-2. DOI: 10.1073/pnas.76.4.1780 SourcePubMed.

38. Larry Ford. An Estimate of the Vibrational Frequencies of Spherical Virus Particles, *Phys. Rev.* E67 (2003) 051924 DOI:10.1103/PhysRevE.67.051924

39. J. Witz & F. Brown, Structural dynamics, an intrinsic property of viral capsids *Archives of Virology* volume 146, pages2263–2274(2001).

40. Mehran Mostafavi, Abderrahmane Tadjeddine, Christophe Humbert, Paata Kervalishvili, Tamar Bzhalava, Vakhtang Kvintradze, Tamar Berberashvili, Optical Spectroscopy of Nanobioobjects for Sensory Applications, "2015 NanoCon (NanoTech) ISTC- Korea Conference", Seoul 2-6 November, 2015.

41. C. Humbert, A. Tadjeddine and B. Busson Sum Frequency generation vibrational spectroscopy of an extramolecular chemical bond The Journal of Physical Chemistry Letters 2, 2770 2773 (2011) <http://dx.doi.org/10.1021/jz201282s>.
42. Shahzad A., Köhler G., Knapp M., Gaubitzer E., Puchinger M., Edetsberger M. Emerging applications of fluorescence spectroscopy in medical microbiology field. J. Transl. Med. 2009;7:99. [Europe PMC free article] [Abstract] [Google Scholar]
43. Bachmann L., Zzell D.M., Ribeiro A.C., Gomes L., Ito A.S. Fluorescence spectroscopy of biological tissues – a review. Appl. Spectrosc. Rev. 2006;41:575–590.
44. Bassan P., Byrne H.J., Bonnier F., Lee J., Dumas P., Gardner P. Analyst. 2009;134:1586–1593. [Abstract] [Google Scholar]
45. Hibbert D.B. Vocabulary of concepts and terms in chemometrics (IUPAC Recommendations 2016) Pure Appl. Chem. 2016;88:407–443.
46. Wang L., Mizaiakoff B. Application of multivariate data-analysis techniques to biomedical diagnostics based on mid-infrared spectroscopy. Anal. Bioanal. Chem. 2008;391:1641–1654.
47. Broadhurst D., Goodacre R., Jones A., Rowland J.J., Kell D.B. Genetic algorithms as a method for variable selection in multiple linear regression and partial least squares regression, with applications to pyrolysis mass spectrometry. Anal. Chim. Acta. 1997;348:71–86.
48. Siqueira L.F.S., Lima K.M.G. MIR-biospectroscopy coupled with chemometrics in cancer studies. Analyst. 2016;141:4833–4847. [Abstract] [Google Scholar]
49. Storch G.A., Wang D. Diagnostic virology. In: Knipe D.M., Howley P.M., editors. Fields Virology. sixth ed. 2013.
50. Mehran Mostafavi, Abderrahmane Tadjeddine, Christophe Humbert, Paata Kervalishvili, Tamar Bzhalava, Tamar Berberashvili. Nonlinear Optical Spectroscopy of Nano-Bio-Materials, The first SDSU – Georgia stem workshop on nanotechnology and environmental science, San-Diego State University.
51. Kervalishvili P.J., Optical Spectroscopy Study of Oscillation of Pathogenic Bio-nanoobjects. (keynote lecture), NANOTEK – 2017 March 11th-13th, 2017, Hamburg.
52. T N Bzhalava and P J Kervalishvili Study of spectroscopic properties of nanosized particles of core-shell morphology, 2018 J. Phys.: Conf. Ser. 987 012023.
53. Kervalishvili P., Computer simulation study of bionanoparticles. 3rd International Computational Science and Engineering Conference, 21-22 October 2019. Doha, Qatar.
54. Kervalishvili P.J., Bzhalava T.N., Computer Simulation Study of Physical Properties of Nanosized Biostructures. 11th Japanese-Mediterranean Workshop on Applied Electromagnetic Engineering for Magnetic, Superconducting Multifunctional and Nanomaterials., Batumi Shota Rustaveli State University July, 16-19, 2019, Batumi, Georgia.
55. Mie, Gustav (1908). "Beiträge zur Optik trüber Medien, speziell kolloidaler Metallösungen". Annalen der Physik. 330 (3): 377–445.
56. P.J. Kervalishvili. Vibration and optical spectroscopy of viruses and other pathogenic biostructures, Bulletin of Russian Academy of Natural Sciences, N 4, 2020 p. 88-99.
57. Mehran Mostafavi, Abderrahmane Tadjeddine, Christophe Humbert, Paata Kervalishvili, Tamar Bzhalava, Vakhtang Kvintradze, Tamar Berberashvili, Optical Spectroscopy of Nanobioobjects for Sensory Applications, "2015 NanoCon (NanoTech) ISTC- Korea Conference", Seoul 2-6 November, 2015.
58. Paata Kervalishvili, "A Novel Approach to Methods and Tools of Optical Spectroscopy of Viruses", SIPS 2018 - Sustainable Industrial Processing Summit & Exhibition, Proceedings of Intl. Symp. on Advanced Manufacturing of Advanced Materials and Structures with Sustainable Industrial Applications 4-7 November 2018, Rio Othon Palace, Rio De Janeiro, Brazil. Pp.25-26.
59. P.J. Kervalishvili, T.N. Bzhalava, Computer Simulation Study of Oscillation Mechanisms and Physical Properties of Nanosized Biostructures, Published in book: Innovative Smart Healthcare and Bio-Medical Systems, CRC Press – Taylor and Francis, New York, 2020, Chapter 6, 8 pages. DOIhttps://doi.org/10.1201/97811003044291

## რეზიუმე

### გამოთვლითი მეთოდებით ვირუსების და ვირუსების მსგავსი ნაწილაკების ვიბრაციული თვისებების გამოკვლევა

თამარ ბერბერაშვილი, თამარ ბზალავა, ლალი ჩახვაშვილი, ანა კეკელიძე, სალომე კარსელაძე, ლაშა ბასაძე, თოჰიდ ტალბიფარი, ალექსანდრე სოსელია, პაატა კერვალიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტული ვირუსული ინფექციით გამოწვეული დაავადებები ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა გლობალური ჯანმრთელობისთვის და, რადგან დიაგნოზში ჩართული მეთოდები სულ უფრო სწრაფი და ეფექტური ხდება, მათი თერაპიის მეთოდები უფრო კიდევ უფრო ძლიერია. ეს რეტროსპექტიული კვლევა მიზნად ისახავდა ნანო ბიო სპექტროსკოპიის კვლევისა და ტექნოლოგიის შესწავლას ვირუსოლოგიის სფეროში, რათა გამოყენებული ტექნიკისთვის გამოყენებულიყო თეორიული და კომპიუტერული მოდელირება და გამოყენებულიყო ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც მანამდე არ ყოფილა გამოყენებული.

**საკვანძო სიტყვები:** ვირუსოლოგია, სპექტროსკოპია, კომპიუტერული მოდელირება, სხივური რეზონანსული თერაპია.

## SUMMARY

### INVESTIGATIONS OF VIBRATIONAL PROPERTIES OF VIRUSES AND VIRUS-LIKE PARTICLES BY COMPUTING METHODS

TAMAR BERBERASHVILI, TAMAR BZHALAVA, LALI CHAKHVASHVILI, ANNA KEKELIDZE, SALOME KARSELADZE, LASHA BASADZE, TOHID TALEBIFAR, ALEXANDRE SOSELIA, PAATA Kervalishvili  
Georgian Technical University

Diseases caused by viral infections are one of the biggest problems for global health, and as methods involved in diagnostics are getting faster and more efficient, methods of their therapy are still need to be stronger. This retrospective study aimed to explore nano bio spectroscopy research and technology in the field of virology in order to provide a theoretical and computer modeling support for the techniques used, and to suggest the applying tools that have not been used previously.

**Keywords:** virology, spectroscopy, computer modeling, radiation resonance therapy



# საქართველოს სატრანზიტო ღირებულება მიმდინარე პროცესების მართვის კლასტერული მოდელი და მისი პირითაღი მახასიათებლები

ბიორბი კერვალიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## 1. შესავალი.

ჩინეთის ახალი აბრეშუმის გზა (NSR – New Silk Road – სურ. 1) წარმოადგენს უძველესი სავაჭრო მარშრუტის (ძველი აბრეშუმის გზის – სურ. 2) თანამედროვე ხედვას. ინიციატივა ეკუთვნის ჩინეთის პრეზიდენტს სი ძინპინს, რომელმაც, 2013 წლის 7 სექტემბერს ყაზახეთში ვიზიტისას პირველად გააუღერა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის კონცეფცია. ის ითვალისწინებს ჩინეთის ცენტრალური და დასავლეთის რეგიონების სახმელეთო ტრანსპორტით დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპის ქვეყნებთან. [1-3].

ამ დროიდან, ბევრი ქვეყანა ცდილობს ჩაერთოს და საკუთარ სატრანსპორტო ქსელში მოაქციოს არსებული (ან შესაძლო) ტვირთაკადები, შესაბამისად მიიღოს ეკონომიკური სარგებელი და ძალიან ხშირად პოლიტიკური დივიდენდებიც. ასეთი ქვეყნების რიგში მოექცა სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებიც (საქართველო, აზერბაიჯანი). სამხრეთ კავკასიაზე გამავალი სატრანზიტო დერეფანი (კსდ), იგივე შუა დერეფანი, სტრუქტურულად რთული მონაკვეთია, რადგან საჭიროებს საზღვაო და საპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენებას შავ და კასპიის ზღვებზე, თუმცა ყველაზე მოკლეა

ჩინეთს და ევროპას შორის. ამიტომ სათანადო რეორგანიზაციის პირობებში, მან შეიძლება სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ჩრდილოეთის და სამხრეთის სატრანზიტო დერეფნებს.


კსდ-ს აქვს უდიდესი პოტენციალი. ამის მიუხედავად არსებობს მრავალრიცხოვანი პრობლემა (ხელის შეშლელი, სუსტი ადგილები), რომლებიც ამცირებს მის საერთო კონკურენტუნარიანობას, ანუ ზრდის კორიდორის გავლის დროს, ზრდის ღირებულებას და ამცირებს იმედიანობას. რაც რეალურად ასახულია, მსოფლიო ბანკის კონკურენტუნარიანობის ლოჯისტიკურ ინდექსზე, სადაც საქართველის, 2. 44 ქულით 119-ე ადგილი უკავია. [4, 5]

ძალზე მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერების სისტემური კვლევები, მთლიანად კსდ -ის და საქართველოს მონაკვეთის ფუნქციონირებაზე, სატრანზიტო პროცესების პრობლემატიკაზე; დერეფანში მოქმედი ბიზნეს სტრუქტურების, მათი შემადგენლების ანალიზსა და კვალიფიციურ პროგნოზირებაზე; განხილული გამოწვევების გადაწყვეტის შემოთავაზებულ რეკომენდაციებზე [6-9].

უფექტური სატრანზიტო დერეფნის შექმნის ამოცანის წინაშე ბევრი გამოწვევა არსებობს. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია მართვის ისეთი კომპლექსური სისტემის არ არსებობა, რომელიც გააერთიანებდა დაინტერესებულ პირებს, ბიზნეს სტრუქტურებს, სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო, სამეცნიერო, სასწავლო ორგანიზაციებს, მოახდენდა მათ კორდინაციას და მიზანმიმართულ სტიმულირებას. ასეთი პრობლემის გადასაწყვეტად შემოთავაზებულია კსდ-ში მიმდინარე პროცესების მართვის კლასტერული მოდელი, შესაბამისი შემადგენლების სისტემით და ფუნქციონირების შესაძლო მექანიზმებით.



სურათი 1. „შუა დერეფანი ერთ სარტყელში, ერთ გზაზე“



სურ. 2 გზა ჩინეთიდან ევროპისაკენ რომის იმპერიისა და ხანის დინასტიის დროს.

**2. საქართველოს სატრანზიტო დერეფნის მართვის კლასტერული მოდელის მახასიათებლების ანალიზი**

კავკასიის სატრანზიტო დერეფნი (კსდ) წარმოადგენს, საქართველოს და აზერბაიჯანის სატრანზიტო მონაკვეთების ერთობლივ სისტემას. ქმნის ინტერმოდალური გადაზიდვების უწყვეტ ჯაჭვს ორი მიმართულებით და საქართველო აზერბაიჯანის საზღვარზე უკავშირდება ერთმანეთს. ის საკმაოდ რთული სტრუქტურის ბიზნეს სისტემაა.

კავკასიის სატრანზიტო დერეფანი (კსდ), დაინტერესებული და საქმიანი სტრუქტურების (აქტორები, მონაწილეები) ფართო სპექტრის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ეს მონაწილეები საქმიანობის სხვადასხვა სფეროს წარმოადგენენ და ძირითადად ისინი განსაზღვრავენ სატრანზიტო დერეფნის ფუნქციონირების პროცესს. (იხ. სქემა. 1)

მნიშვნელოვანია, სურ. 3-ზე წარმოდგენილი, გადაზიდვების პროცესში ჩართული და დაინტერესებული ობიექტების ანალიზი, მათი შემადგენელი ქვესტრუქტურების განსაზღვრა და მიზანმიმართულ ჯგუფებად წარმოდგენა, რათა შესაძლებელი გახდეს, კსდ-ში მიმდინარე პროცესების, მართვის ინტეგრირებული სტრუქტურის ფორმირება. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე მართვის ასეთ სტრუქტურად მიგვაჩნია, რეგიონული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერი (რსლკ). სტატიაში რეგიონის ქვეშ ძირითადად გაგებულა საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორია, თუმცა მასში შესაძლოა ტრასეკას პროექტში (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი) მონაწილე ქვეყნების ჩართვაც. ასეთ რთული ბიზნეს პროცესების მართვის ინტეგრირებული სისტემის (რეგიონული) ფორმირება ამ ეტაპზე საკმაოდ რთული პრობლემაა. ამიტომ სტატიაში აქცენტი კეთდება, კსდ-ის საქართველოს მონაკვეთზე და მისი მართვის კლასტერული მოდელის ფორმირებაზე.

ჩვენს ქვეყანაში, სატრანსპორტო და ლოგისტიკური მომსახურების ბაზრის ინტენსიური განვითარება ქმნის ობიექტურ ორგანიზაციულ და ეკონომიკურ წინაპირობებს სატრანსპორტო – ლოგისტიკური კლასტერის (თ ჩ-სლკ) ფორმირებისათვის. ბოლო წლებში ტრანსპორტირების, დისტრიბუციისა და ლოგისტიკის ამოცანის კლასტერული



**სურ. 3. კავკასიის სატრანზიტო დერეფნით დაინტერესებული ძირითადი სტრუქტურების სქემატიური გამოსახულება.**

წარმოდგენა მეტად პოპულარულია მსოფლიოში. მაგალითად აშშ-ს სამხრეთ დაკოტაში იგი ისწავლება როგორც სპეციალური კურსი [10], რომელიც აღწერს კლასტერულ მოდელს მილსადენების ქსელის, ასევე საჰაერო, სარკინიგზო და წყლის საშუალებით ადამიანების, მასალებისა და საქონლის მართვასა და გადაადგილებას და მასთან დაკავშირებულ პროფესიულ და ტექნიკურ დახმარებას, როგორცაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და მართვა, ლოგისტიკური მომსახურება, მობილური მოწყობილობებისა და ობიექტების შენარჩუნება.

ლოგისტიკური კლასტერის განმარტებიდან გამომდინარე, რომელიც ემყარება კლასტერული სტრუქტურების ფორმირების ზოგად განმარტებებს [11], და რომელიც მოიცავს კლასტერის იერარქიულ წყობას შესაბამისი კორელაციებით, იგი წარმოადგენს გადაზიდვების პროცესებში მონაწილე ობიექტების ინტეგრაციის ყველაზე ეფექტურ ფორმას. სატრანსპორტო ლოგიკურმა კლასტერმა, ჩვენს შემთხვევაში, ინოვაციებისა და ეკონომიკური ინტერესების კოორდინაციის საფუძველზე უდა უზრუნველყოს, სატრანზიტო გადაზიდვების ქსელის სრული მენეჯმენტი, კონკურენტუნარიანობის ზრდა და მაქსიმალური სინერგიული ეფექტი.


სატრანსპორტო – ლოგისტიკური კლასტერი არის სხვადასხვა ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის, ასევე გადაზიდვებთან დაკავშირებულ ლოგისტიკურ მომსახურებასა და სხვადასხვა ოპერაციასზე ორიენტირებული ბიზნეს სუბიექტების, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის,

სამთავრობო და სხვა ორგანიზაციების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელმაც, სამეცნიერო, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამთავრობო ორგანოებთან მჭიდრო კავშირების საფუძველზე, სატრანსპორტო – ლოგისტიკური მომსახურების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე უნდა უზრუნველყოს საქართველოს სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის მკვეთრი ზრდა [12, 13].

ჩვენს შემთხვევაში კლასტერის სტრუქტურული მოდელი მოიცავს ოთხ მსხვილ ბლოკს (მონაწილეთა უკვე აღნიშნულ ჯგუფებს), ესენია: კლასტერის ბირთვი, მომსახურე, დამხმარე და დამატებითი ობიექტები. აქვე უნდა აღინიშნოს სახელმწიფო, მუნიციპალურ ორგანოები, როგორც ზემოქმედების ფაქტორები. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, კსდ-ის საქართველოს მონაკვეთის მართვის კლასტერული მოდელის შემქმნისას, შეიძლება გამოვეყნოთ მისი შემდეგი, უფრო კონკრეტული სტრუქტურული შემადგენლები:

**1. „ბირთვი“** – ძირითადი ობიექტები, რომელთა გარშემოც ხდება კლასტერის ფორმირება. ისინი მონაწილეობენ ძირითად პროცესებში, ანხორციელებენ ტვირთების გადაზიდვას და სხვა აუცილებელ ოპერაციებს. ახდენენ კლასტერების პოზიციონირებას, რეგიონალური სპეციალიზაციისა და გეოგრაფიული უპირატესობების გათვალისწინებით. ესენია: ქვეყანაში მოქმედი მსხვილი სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრების პროვაიდერები; ბათუმის და ფოთის პორტებისა, ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მფლობელები; მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვების ოპერატორები; საქართ-





სურ. 4. სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერის სტრუქტურის ბლოკ-სქემა.

ველოს რეინიგზა; სატრანსპორტო კომპანიები; ინფორმაციულ-ანალიტიკური და კონსალტინგური კომპანიები.

2. „დამხმარე სტრუქტურები“ – კლასტერული სისტემის ისეთი შემადგენლებია, რომელთა არსებობა სასურველია, მაგრამ ყოველთვის არ რის საჭირო კლასტერის შემადგენელი ობიექტების ფუნქციონირებისათვის. ეს ჯგუფი მოიცავს, სხვადასხვა სერვისულ და საკონსულტაციო ფორმებს, ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელთა ფუნქციების შესრულება შესაძლებელია როგორც თვით კლასტერში, ისე აუთსორსინგის გამოყენებით. აქ გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები როგორცაა: შიდა რეზერვების მოძიება, რესტრუქტურირებისა და რეორგანიზაციის პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფა და სტრატეგიული სარგებელის მიღწევა. ამ საქმიანობას ძირითადად ასრულებენ სალიცენზიო კომპანიები, საბითუმო ვაჭრობის შუამავლები, საბითუმო ბაზები, დილერები და ბროკერები, სადაზღვევო კომპანიები, სარეკლამო და მარკეტინგული

სააგენტოები, საინფორმაციო და კონსალტინგური კომპანიები, ტერმინალური კომპლექსების ინფორმაციული უზრუნველყოფის, ასევე დაცვის სამსახური და ა.შ.

3. „მომსახურების ობიექტები“, რომელთა ყოფნა სავალდებულოა, მაგრამ რომლის საქმიანობა პირდაპირ არ არის დაკავშირებული ძირითადი ობიექტების ფუნქციონირებასთან. მომსახურების ობიექტები შეიძლება შეიცავდეს საწარმოებს, რომლებიც ასორციელებენ კლასტერული მომსახურების ფუნქციებს, მაგალითად, კლასტერის ფინანსური ცენტრი, ე. ი. საბანკო სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას კლასტერული სტრუქტურების საქმიანობისთვის. ასევე: მიწოდებების მაგისტრალური ქსელი, ექსპედიტორები, გადაამზიდავები, ტერმინალთა კომპლექსები და მფლობელები. სატრანსპორტო ორგანიზაციები და ინფრასტრუქტურა, ტვირთის გადაამაშუშავებელი კომპლექსები, ტერმინალები საბაჟოზე და საწყობები, „საქართველოს რეინიგზა“, საინვესტიციო კომპანიები, მულტიმო-

დალური სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრები, საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრები და ა.შ.

4. „დამატებითი ობიექტები“, რომელთა საქმიანობა პირდაპირ უზრუნველყოფს „ძირითადი“ ობიექტების ფუნქციონირებას, ესენია: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრები.

5. ხელშეწყობი ობიექტები: სახელმწიფო სტრუქტურები, სატრანზიტო გადაზიდვების თვითგანვითარების პროცესები და გარემო.

მთლიანობაში, სატრანზიტო-ლოგისტიკური პროცესების მართვის კლასტერული მოდელი შეიძლება ბლოკჩეინის მსგავსი სქემის სახით წარმოვადგინოთ (სურ. 4).

სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერის ფორმირება ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ერთიანი ინოვაციური, ინფორმაციული, ორგანიზაციულ – ეკონომიკური, სამრეწველო – ტექნოლოგიური, საკადრო და ნორმატიული – საკანონმდებლო სივრცის შექმნა;

● საერთო სტრატეგიისა და კომერციული პოლიტიკის ჩამოყალიბება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, ასევე საერთაშორისო სატრანზიტო დერეფანში მოძრავი ტვირთების და თანმდევი ნაკადების მართვასა და მომსახურების პროცესებში.

● სამეცნიერო ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთკავშირი პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის;

● სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მექანიზმის ორგანიზაცია და გამოყენება, კომერციულ სტრუქტურებსა და ხელისუფლებას შორის ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალურ დონეზე.

მსოფლიოში არსებობს ეკონომიკური მართვის კლასტერების ფორმირების ორი მიდგომა; კლასიკური (არ მოაიზრებს პირდაპირ სახელმწიფო ჩარევას და/ან მხარდაჭერას) და თანამედროვე ევროპული (დაფუძნებულია ბიზნესის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პარტნიორობაზე). მათ შორის ძირითად მადიფერენცირებად ნიშნებად მიჩნეულია განსხვავებული მიდგომები: რეგიონის დონეზე, სატრანსპორტო ლოგისტიკური პრობლემების გადაწყვეტისას; ინფრასტრუქტურული პროექტების

რეალიზების დროს; პრიორიტეტების არჩევისას და ა.შ.

კსდ-ში მიმდინარე გადახედვების პროცესი, სხვა დამხმარე ოპერაციების ერთობლიობა, ამ პროცესების მართვის კლასტერული მოდელი, სახელმწიფოსთან და სხვა ორგანიზაციებთან, ურთიერთკავშირებით წარმოადგენს ღია სისტემას. ეს პირველ რიგში განაპირობებს ღია ურთიერთობებს გარემოსთან. გარეშე ფაქტორების შემოქმედება განიხილება შვიდი მიმართულებით: სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, პოლიტიკური. ასევე, მნიშვნელოვანია ფაქტორები დაკავშირებული ფასეულობებთან და სამართლებრივ ასპექტებთან. ჩამოთვლილ ფაქტორებს შეუძლიათ გააძლიერონ, დაახქარონ ან შეაფერხონ კსდ-ის ან მისი შემადგენელი დერეფნების ფუნქციონირება და წარმატებული განვითარება. ამიტომ მნიშვნელოვანია გარემოდან მოქმედი განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენა. მათი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის დონის დასადგენად ხშირად მიმართავენ PEST SWOT და RISK ანალიზებს, ან მათ გარკვეულ გაფართოებებს, მრავალმხრივი ანალიტიკური კვლევების ჩასატარებლად [14, 16].

**დასკვნა.**

კლასტერული მიდგომის გამოყენება განსაკუთრებით საინტერესოა რეგიონალური სატრანსპორტო – ლოგისტიკური სისტემების და რეგიონალური მაკრო ლოგისტიკური პლატფორმების ჩამოყალიბებაში. სარტანზიტო პროცესებში მონაწილე სახელმწიფოებს შორის გარკვეული საკანონმდებლო და სახელმწიფო რეგულაციების ბაზაზე შესაძლებელია საერთაშორისო სარტანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერის ფორმირება.

ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ

კლასტერული მოდელების განვითარების ბაზაზე შეტია ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთგაგება, რადგანაც კლასტერული მოდელში ინტეგრირებულია, ერთიან სტრატეგიაზე და მიზნებზე ორიენტირებული სტრუქტურები. ეს კი აადვილებს და ფინანსურად ეფექტურს ხდის მათ საქმიან ურთიერთობებს. ამასთან კლასტერის მონაწილენი რჩებიან დამოუკიდებელ ბიზნეს სუბიექტებად.

დასასრულს უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო პროფესორებს ზურაბ განიჭაშვილსა და სულხან ხუციშვილს დახმარებისათვის ამ ნაშრომის მომზადებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. President Xi Jinping Delivers Important Speech and Proposes to Build a Silk Road Economic Belt with Central Asian Countries. Ministry of Foreign Affairs of People’s Republic of China. 2013/09/07.
2. გ. დობორჯგინიძე საქართველო როგორც შუა დერეფნის სახელგაო კარიბჭე. ეკონომიკა, 2019.
3. Philip Andrew Churm, Chinese President hails benefits of new ~Silk Road”, Euronews, 27/04/2019.
4. სატრანსპორტო-ლოგისტიკური დარგი საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები. ბიზნესის და ეკონომიკის ცენტრი. 2017. h3. უურნალი ფორბსი. ივლისი 26, 2018: 12:50.
5. ეთერ შევერდაშვილი. შოთა ტოტიკაშვილი. ლოგისტიკის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, „ეკონომიკა – XXI საუკუნე“, თბილისი, 2017.
6. <https://www.interpressnews.ge/ka/article/274690-logistikis-rol-i-kartuli-ekonomikis-ganvitarebashi>.

8. <https://mod.gov.ge/ge/news/read/-6364/2018-weli-logistikis-wlad-gamocx-adda>.

9. <http://www.bm.ge/ka/article/irani-saqartvelos-portebshi-logistikuri-centrebis-ganvitarebas-stavazobs/19236>.

10. Transportation, Distribution & Logistics. South Dakota department of education, course for training for 2020-2021 years. CTE, Career Cluster: Transportation, Distribution & Logisticsdoe. sd. gov.

11. Jonathan P. Pinder. Introduction to Business Analytics Using Simulation. School of Business, Wake Forest University, Winston-Salem, NC, United States. Academic Press, 2017, 575p.

12. Mustapha Benmaamar, Oceane Keou, Daniel Saslavsk. Georgia’s transport and logistics strategy: achievements to date and areas for improvements. Semantic Scholar, Published 2015, Business. h.

13. Прокофьева Т. А., Клименко В. В. методологические аспекты построения кластерной модели транспортной логистической инфраструктуры региона / логистика и управление цепями поставок/ Вестник транспорта. № 6. 2014.

14. Joanicjusz Nazarko, Katarzyna Anna Kuźmicz, Introduction to the STEEPVL Analysis of the New Silk Road Initiative. 7th International Conference on Engineering, Project, and Production Management, Bialystok University of Technology, December 2017Procedia Engineering 182:497-503. DOI: 10. 1016/j.proeng. 2017. 03. 143.

15. Badri Meparishvili, George Kervaishvili, Gulnara Janelidze. Agent-Based Approach to Decision Support Process in Business Intelligence, International Scientific Conference Tbilisi-Spring-2011, Philosophy and Synergy of Information: Sustainability and Security, Technical University, Tbilisi, Georgia, 2011, p. 51-52.

16. G. Kervalishvili, P. Yannakopoulos, Z. Gasitashvili, Decision making process based on quantum approach. International Scientific Conference eRa -11 The Synergy Forum, Piraeus University of Applied Sciences, PUAS, 21-23 September, 2016, Eagaleo, Athens, Greece.

**რეზიუმე**

**საქართველოს სატრანსპორტო დერეფანში მიმდინარე პროცესების მართვის კლასტერული მოდელი და მისი ძირითადი მახასიათებლები**

*ბიორბი კერვალიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე. წარმოდგენილია, ახალი აბრეშუმის გზის კავკასიის სატრანსპორტო დერეფანში მოქმედი დაინტერესებული ბიზნეს სტრუქტურებისა და სხვა მონაწილეთა კლასიფიკაციის ერთიანი სქემა. აღწერილია მონაწილეების მონაცემთა ბაზაზე მიზანმიმართული ჯგუფების ფორმირებისა და მართვის ერთიანი, ინტეგრირებული სისტემა. აგებულია კავკასიის სატრანსპორტო ლოგისტიკური დერეფნის საქართველოს მონაკვეთზე მიმდინარე პროცესების მართვის კლასტერული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს გარემოსთან და ასევე სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან ურთიერთკავშირს. საკვანძო სიტყვები. ახალი აბრეშუმის გზა, კავკასიის სატრანსპორტო დერეფანი, მულტიმოდალური გადახედვები, მართვის კლასტერული მოდელი.



## SUMMARY

**CLUSTER MODEL OF CURRENT PROCESS MANAGEMENT IN THE GEORGIAN TRANSIT CORRIDOR AND ITS MAIN CHARACTERISTICS***GIORGI KERVALISHVILI  
Georgian Technical University*

A unified classification scheme of interested business structures and other participants operating in the Caucasus Transit Corridor of the New Silk Road is presented. Describes a unified, integrated system for forming and managing targeted groups based on participant data. A cluster model of ongoing processes management on the Georgian section of the Caucasus Transit Logistics Corridor has been built, which envisages the relationship with the environment as well as with state and municipal authorities.

**keywords.** New Silk Road, Caucasus Transit Corridor, multimodal shipments, management cluster model.

**თრომბოზული თრომბოციტოპენიური პურპურა (TTP)** – ბავშვებში იშვიათია და, ასეთი ბავშვები დაბადებისას წარმოდგენილი არიან ჰემოლიზური ანემიით და თრომბოციტოპენიით, თირკმლის ჩართულობა ხდება მოგვიანებით, TTP-ს გამორიცხვა საბოლოოდ შემცირებული ADAMTS13-ს დაბალი აქტივობით დასტურდება.

### სურათი №3

თრომბოციტების ნორმალური რაოდენობა და დაქვეითებული მანკვინაჟი



**სისტემური ვასკულიტი** – ტიპიურ შემთხვევაში გამოხატულია ართრალგია და გამონაყარი, არახასიათებელი პროდრომულ პერიოდში ღიარვა, ცენტრალურზე მეტად დამახასიათებელია პერიოფერიული ნერვული სისტემის ჩართულობა.

**დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედეგება და მწვავე ტუბულიური ნეკროზი**, თუმცა HUS-ისგან განსხვავებით, დისემინირებულ სისხლძარღვშიდა შედეგება ხასიათდება კოაგულაციის ტესტების დარღვევით, რაც მოიცავს გახანგრძლივებულ პროთრომბინის დროს, გააქტივებულ პარციალური თრომბოპლასტინის დროს, ფიბრინის დეგრადაციის პროდუქტების და D-dimer-ის დონის მატებას. გადაწყვეტი

ვებია პროკალციტონინის დონე სისხლში.

მუცლის მწვავე ტკივილი, სისხლიანი ღიარვა, ცხელება და ლეიკოციტოზი შეიძლება ახასიათებდეს სხვა ნაწლავურ ინფექციებსაც (როგორც არის: სალმონელა, კამპილობაქტერია, იერსინია, ამებიაზი და კლოსტრიდიუმ დეფიცილემ), რომლის დროსაც სისხლში კრეატინინის და შარდმუავა აზოტის დონე იმატებს. ეს ცვლილებები განპირობებულია სითხის დაკარგვით და არა თირკმლის ქსოვილის დაზიანებით. დაავადების ერთმანეთისგან გასამიჯნი კრიტერიუმებია თრომბოციტოპენია და ჰემოლიზური ანემია.

### მკურნალობა და პაციენტის მართვა:

- დაავადების დროული ამოცნობა
- შესაძლო გართულებების პრევენცია
- დამხმარე თერაპია:

- ანემია (Hgb – <6G/DL)– სისხლის წითელი უჯრედების ტრანსფუზია

- აქტიური სისხლდენის დროს – თრომბოციტების ტრანსფუზია

- წყლისა და ელექტროლიტური ცვლის დისბალანსის კორექცია

- ჰიპერტენზია – კალციუმის არხის ბლოკატორები – ნიფედიპინი ან ნიკარდიპინი

- თირკმლის მწვავე უკმარისობა – დიალიზი

- გულყრა – დიაზეპამი, ფენიტონი

- მიძიმე ნევროლოგიური დარღვევების დროს რეკომენდებულია Eculizumab გამოყენება.

- არ არის რეკომენდებული ანტიმიკრობული ან დასალევი შიგა-



ტოქსინ მაპროდუცირებელი აგენტები (Semkvreli მედიკამენტები – ცნს დარღვევის განვითარების რისკს ზრდის).

Eculizumab – ეს არის მონოკლონური ანტიცეფალი კომპლემენტის C5 ფაქტორის მიმართ, რომელიც ბლოკავს კომპლემენტის აქტივაციას. გამოიყენება STEC-ჰუსის მძიმე ცნს ჩართვის (კრუნჩხვა, კომა, ნევროლოგიური დარღვევები) დროს, ასევე კარდიალური დარღვევების და კომპლემენტ ასოცირებული HUS დროს. მკურნალობა 2020 წლის 1 იანვრიდან FDA-ის მიერ არის ნებადართული.

**პროგნოზი** – კეთილსამიქლოა, სიკვდილიანობის მაჩვენებელი <5%. თუმცა არსებობს რისკი თირკმლის უკმარისობის განვითარების და პაციენტს შესაძლოა დასჭირდეს თირკმლის ტრანსპლანტაცია. ჰუსის რეციდივის განვითარება იშვიათია. სიკვდილობა მწვავე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში არის 3-4%. სიკვდილის მიზეზი ჰუსის მწვავე ფაზაში მოიცავს ცნს დაზიანებას (tvinis შეშუპებას, ტვინის ინფარქტს ან ტვინის სიკვდილს), ჰიპერკალემია, კოაგულოპათია, სეფსისი, გულის უკმარისობა, ფილტვისმიერი სისხლდენა და გასტროინტენსტივული ტრაქტის დაზიანება. სიკვდილობასთან ასოცირებული ფაქტორებია – ლეიკოციტოზი, ჰემატოკრიტი >20%, სასუნთქი სისტემის ინფექციის ეპიზოდი – სტრეპტოკოკული პნევმონია და ჰიპონატრემია.

მეთვალყურეობის გეგმა – პაციენტის უნდა ჩაუტარდეს ყოველწ-

ლიურად: წნევის კონტოლი, შარდის საერთო ანალიზი და სისხლში კრეატინინის განსაზღვრა. იმ პაციენტებს ვისაც აქვს თირკმლისმიერი გართულება, მწვავე ფაზის შემდეგ პერიოდში რეკომენდებულია ACE ინჰიბიტორის დანიშვნა.

**სტრეპტოკოკული პნევმონია** - პნევმოკოკთან ასოცირებული ჰუსი გვხვდება პედიატრიული ჰუსის შემთხვევების 5-15%-ში და არა ნაწლავის ჩხირით გამოწვეული ჰუსის შემთხვევათა 40%-ში. პნევმოკოკთან ასოცირებული ჰუსი ძირითადად გვხვდება ჩვილებში და მცირე ასაკის ბავშვებში, იშვიათად მოზრდილებში.

პაციენტებს პნევმოკოკთან ასოცირებული ჰუსით 70%-ი აღენიშნება პნევმონია, რომელსაც ხშირად თან თან ახლავს ემპიემა ან გამოწვინა. მენინგიტი გვხვდება – შემთხვევათა 40%-ში. იშვიათად გვხვდება იზოლირებული ბაქტერიემია, სინუსიტი და შუა ყურის ანთება.

პნევმოკოკთან ასოცირებული ჰუსის მკურნალობა ძირითადად მოიცავს სიმპტომურ თერაპიას. გარდა ამისა ბაქტერიოლოგიური შედეგების და მგრძობებლობის პასუხების მოლოდინში უნდა ჩატარდეს ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპია (vankomicini და ფართო სპექტრის ცეფალოსპორინი).

პაციენტებს, რომელთაც აქვს პნევმოკოკთან ასოცირებული ჰუსი, ნაწლავის ჩხირის შტამით გამოწვეულ დაავადებასთან შედარებით სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი აღენიშნება. სიკვდილის მიზეზი ინფექციის გავრცელებაა.

ბელი აღენიშნება. სიკვდილის მიზეზი ინფექციაა.

**ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (aiv)** – ჰუსი დაფიქსირებულია პაციენტთან რომელთაც აქვს აივ ინფექცია. პაციენტთა უმრავლესობას უვითარდება თირკმლის უკმარისობა. რეტროვირუსული თერაპიის წარმატებით დანერგვის შემდეგ შემთხვევათა რიცხვი საგრძობლად შემცირდა.

H1N1 გრიპი A – ჰუსის განვითარების მრავალი შემთხვევაა გამოკვყნებული პაციენტებში H1N1 A გრიპით.

**შეგნილი – არაინფექციური მიზეზები:**

● აუტოანტიცეფალი კომპლემენტის ფაქტორის მიმართ – კომპლემენტის ანტიცეფალიები B და H ჩართულია შეგნილი ჰუსის დროს.

● ტოქსიური მედიკამენტების მოხმარება – კალცინეფრინის ინჰიბიტორები (ციკლოსპორინი, ტაკროლიმუსი), ციტოტოქსიური, ქიმიოთერაპიული აგენტები კლოპიდოგრელი და ტიკლოპიდინი, ქვინინი.

● ორსულებში ან პაციენტებში აუტოიმუნური დარღვევებით (მაგ. სისტემური წითელი მგლურა)

**გამოყენებული ლიტერატურა:**

<https://www.uptodate.com/home>  
<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/>  
<https://emedicine.medscape.com/>  
The article provides the latest data on the basic principles of etiology, pathogenesis, research and treatment of urinary tract infection in newborns.

**რეზიუმე**

**ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი ბავშვთა ასაკში**

*ქეთევან ჯვათაძე, გურამ ჩიტაია, თამარ აბულაძე, მედეა ტსანავა, დავით კვირკველია, ნინო კვირკველია, სალომე კავსაძე (ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა)*

კლინიკისტებისათვის დღესაც უმნიშვნელოვანესია ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი (husi), რომელიც ბავშვთა ასაკში თირკმლის უკმარისობის ყველაზე ხშირი მიზეზია და ხასიათდება ტრიადით: მიკროანგიოპათიური ჰემოლიზური ანემია, თრომბოციტოპენია და თირკმლის მწვავე უკმარისობა.

**SUMMARY**

**HEMOLYTIC-UREMIC SYNDROME IN CHILDREN**

*KETEVAN KVATADZE, GURAM CHITAIA, TAMAR ABULADZE, MEDEA TSANAVA, DAVIT KVIRKVELIA, NINO KVIRKVELIA, SALOME KAVSADZE (I. Tsitsishvili New Children’s Clinic)*

The most important for clinicians today is hemolytic-uremic syndrome (HUS), which is the most common cause of renal failure in children and is characterized by a triad: microangiopathic hemolytic anemia, thrombocytopenia and acute renal failure.

## ანემიები მოზარდებში

მ. კვებერელი-პოპაძე, ზ. მთვარელიძე

თსუ პედიატრიის დეპარტამენტი, ირ. ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა

ანემიები მოზარდებში საკმაოდ ხშირად გვხვდება. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში, ევროპელი თერაპევტების ყურადღება მიიპყრო პრეპუბერტული და პუბერტული ასაკის მოზარდების უპირატესად გოგონების, კანის მომწვანო შეფერვამ, რასაც „იუვენილური ქლოროზი“ ანუ „მწვანე სისუსტე“ უწოდეს (როგორც ჩანს, „მწვანე სისუსტე“ ჰქონდათ უ. შექსპირის გმირებს რომეოს და ჯულიეტასაც, რაც აისახა უკვდავ ნაწარმოებში).

უკანასკნელ წლებში, მთელს მსოფლიოში და საქართველოშიც აღინიშნება ბავშვებსა და მოზარდებში ანემიების სისხრის ზრდის ტენდენცია. ჯანმო-ის მონაცემებით, ანემია განვითარებადი ქვეყნების მოზარდებში გვხვდება 27%-ში, განვითარებულში -6%-ში. მაგ. რუსეთში მოზარდთა ანემიების სისხირე გოგონებში შეადგენს 23%-ს, ვაჟებში-7%-ს, თურქეთში გოგონებში 8,3%-ს, ვაჟებში -1,65%-ს. ჩინეთის მოზარდთა 11,7%-ს აქვს ანემია, ინდოეთში 30%-ს, ეთიოპიაში მერყეობს 22,8%-დან -32%-მდე.

პუბერტული ასაკი ხასიათდება უნიკალური თავისებურებებით. ამ დროს ხდება ორგანიზმის მნიშვნელოვანი გეგმატური, ენდოკრინული და იმუნური გარდაქმნები.

ანემიათა სტრუქტურაში, პრეპუბერტულ და პუბერტულ ასაკში ძირითადად გვხვდება რკინადეფიციტური ანემია (rda). იგი განპირობებულია ორგანიზმში რკინის რაოდენობის შემცირებით, რის შედეგადაც ირღვევა ჰემოგლობინის (Hb) სინთეზი და მცირდება მისი საშუალო კონცენტრაცია თითოეულ ერითროციტში. აღამიანის ორგანიზმში რკინის დეფიციტი ვითარდება ეტაპობრივად, რკინის პრელატენტური დეფიციტი, რკინის ლატენტური დეფიციტი (rld) და რდა. რკინადეფიციტური მდგომარეობა (rdm) არის რლდ და რდა ჯამური მაჩვენებელი.

### მოზარდებში რდა განვითარების ძირითადი მიზეზებია:

1. რკინის გაძლიერებული კარგვა, გამოწვეული სისხლდენით (ანემიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება პუბერტულ პერიოდში გოგონებში საშვილოსნოდან სისხლდენის (65%) და დისმენორეის (50%), დროს). ცხელი კლიმატი ასევე ხელს უწყობს რკინის დიდი რაოდენობით დაკარგვას ოფლით და ჩამოფცქვნილი ეპითელით.

2. რკინის არასაკმარისი ეგზოგენური (sakvebiT) მიწოდება ორგანიზმისთვის (saSualo მოთხოვნა რკინაზე დღე-ღამეში 10 მგ-ია, აქედან შეითვისება მხოლოდ 10%, პუბერტულ პერიოდში -18 მგ დღე-ღამეში) – ალიმენტური ფაქტორი (mozardebSi „შეგნებული“ შიმშილი არის ანემიის მიზეზი გოგონების 27,3%-ში) და მისი გაძლიერებული მოხმარება; აქვე გასათვალისწინებელია ისეთი დაავადებები, როგორცაა ტუბერკულოზი, ჰიპოთირეოზი, საკვერცხეების დისფუნქცია და სხვა.

3. რკინის შეწოვის დარღვევა – მალაბსორბციის სინდრომი, ნაწლავთა მორეციდივე ინფექცია, რკინის

შეწოვის ინჰიბიტორების მოხმარება საკვებად (Cai, რძე, კვერცხის ცილა, დიდი ოდენობით ოქსალატების, ფოსფატების, კალციუმის მარილების მიღება). ყურადღებას იმსახურებს Helicobacter Pyloris როლი რდა განვითარებაში. იგი ბოჭავს რკინას კუჭის ანტრალურ ნაწილში, ამცირებს ვიტ. C-ს და მარილმჟავას სინთეზს, რაც აქვეითებს ეგზოგენური რკინის შეწოვას. არ კარგავს აქტუალობას ჭიებით ინვაზიაც.

4. რკინის ტრანსპორტის დარღვევა (პროტეინოდეფიციტური მდგომარეობები).

ანემია მოზარდებში ჩვეულებრივ შერეული გენეზისაა და შეიძლება განვითარდეს რამდენიმე ფაქტორის კომბინაციით, რაც ხელს უწყობს დაავადების უფრო ხანგრძლივ და მძიმე მიმდინარეობას.

რკინის ცვლა მოზარდებში აგრეთვე დამოკიდებულია სასქესო სტეროიდების ბალანსზე. ანდროგენები ხელს უწყობენ აქტიურ ერითროპოეზს და რკინის შეწოვას, ხოლო ესტროგენები მოქმედებენ ამის საპირისპიროდ. ცნობილია, რომ ესტროგენების მაღალი შემცველობა ხელს უწყობს სისხლდენისადმი მიდრეკილებას, აგრეთვე თრგუნავს ვიტ. B6, რომელიც მონაწილეობს Hb სინთეზში.

რღმ ვლინდება მოზარდებში, ვისაც აქვთ ფარისებური, თირკმელზედა ჯირკვლის და მთლიანობაში ჰიპოთალამო-ჰიპოფიზ-თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპოფუნქცია. მოზარდებს სიმსუქნით ანემია უვითარდებათ ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ნორმალურ მასის მქონე მათ თანატოლებს, აგრეთვე 15-18 წლის ორსულებს ანემია აღენიშნებათ უფრო ხშირად, ვიდრე მოზარდილ ქალებს.

ამრიგად, რკინის დეფიციტის და რდა გენეზი მოზარდებში მულტიფაქტორულია, რაც დამახასიათებელია პრე- და პუბერტული ასაკისთვის. ესენია ზრდა-განვითარების სწრაფი ტემპი, ოვარიულ-მენსტრუალური ციკლის ფორმირება, მეტაბოლური და ენდოკრინული დისფუნქცია.

რდა კლინიკური გამოვლინებანი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ანემიური და სიდეროპენიური სინდრომები

### რდა კლინიკური სურათი

#### ანემიური სინდრომი:

- კანის და ლორწოვანი გარსების სიფერკმერთაღე;
- მადის დაქვეითება;
- ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხება;
- გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევები (თავბრუსხვევა, ყურებში შუილი, გულის ტონების მოყრუება, სისტოლური შუილი).

#### სიდეროპენიური სინდრომი:

- კანის სიმწრაღე;
- ფრჩხილების მტვრევადობა;
- თმის ცვენა, მტვრევადობა, გათხელება;
- ცხვირის, საყლაპავის და კუჭის ლორწოვანის ატროფია;



- დისპეფსიური მოვლენები;
- ნაწლავებიდან საკვების შეწოვის დარღვევა;
- ყნოსვის და გამოვნების გაუკუღმართება;
- კუნთების ტკივილი და ტონუსის დაქვეითება;
- კბილის კარიესი, ემალის დეფექტი;
- სუბფებრილიტეტი.

გარდა ამისა, მოზარდებში შეიძლება გამოვლინდეს ისეთი სიმპტომები, როგორცაა გონების ხანმოკლე დაკარგვა, მეორადი სასქესო ნიშნების განვითარების შეფერხება და სხვა.

მოზარდებში რღა კლინიკური სიმპტომები წარმოდგენილია უპირატესად სიდეროპენიური სინდრომით. ანემიური ჩივილები ვლინდება მხოლოდ სისხლის მძიმე დაკარგვის შემდგომ. უნდა აღინიშნოს, რომ სიდეროპენიური ჩივილები ზოგჯერ აქვთ იმ მოზარდებსაც, ვისაც რკინა აქვთ ნორმაში (მაგ. ვეგეტარული ნერვული სისტემის დისფუნქციის, ფარისებური ჯირკვლის ჰიპოფუნქციის დროს).

რღა დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ბავშვებში, მოზარდებსა და მოზრდილებში თითქმის იდენტურია. ანემია ჰიპოქრომული და მიკროციტულია, აღინიშნება Hb, ერთროციტების, ჰემატოკრიტის, შრატის რკინის, ფერიტინის, ტრანსფერინის სატურაციის დაქვეითება, სისხლის შრატით რკინის საერთო შებოჭვის უნარის მომატება. მოზარდებში ანემია ჩვეულებრივ მსუბუქად მიმდინარეობს. მას იშვიათად ახლავს Hb, შრატის რკინის და ფერიტინის მნიშვნელოვანი დაქვეითება. უფრო სერიოზული დარღვევები უკავშირდება გოგონებში საშვილოსნოდან სისხლდენას.

ანემიათა სტრუქტურაში პუბერტულ პერიოდში, უმცროსი ასაკის ბავშვებისგან განსხვავებით, უფრო ხშირია რღა, ვიტ. B12-ის და ფოლიუმის მჟავას დეფიციტის კომბინაცია, რაც უპირატესად არასრულფასოვან, ცხოველური პროდუქტებით დარიბ დიეტას უკავშირდება და ხასიათდება, გარდა სისხლმბადი, საჭმლის მომნელებელი და ნერვული სისტემის დაზიანებით.

მქუბუქი და საშუალო სიძიმის ანემიის ნიშნებით მოზარდებში მიმდინარეობს მეორადი ანემიები, განპირობებული მწვავე და ქრონიკული ინფექციით, ღვიძლის, თირკმელების, ენდოკრინული სისტემის დაავადებებით.

აღნიშნულ მდგომარეობათა დროს ანემიის პათოგენეზი მდგომარეობს შინაგანი ორგანოების მაკროფაგურ სისტემაში რკინის დაყოვნებაში და მისი ძვლის ტვინისათვის მიწოდების დარღვევაში (ერთროპოზის დამუხრუჭება), აგრეთვე ერთროციტების

სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებაში (აუტო-მუნური ჰემოლიზი), ვიტ. B12-ის დეფიციტში, სისხლის დაკარგვაში.

ამრიგად, ქრონიკული დაავადებების დროს განვითარებული ანემია მოზარდებში შერეული გენეზისაა. მისი დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია: მსუბუქი, სიდეროპენიური ჩივილები, Hb უმნიშვნელო დაქვეითება (კორექტირებს ძირითადი დაავადების სიმძიმესთან), ანემია ნორმო- ან ჰიპოქრომული, ანოზოციტოზი, მაკროციტოზი, შრატის რკინა ნორმაში ან ოდნავ დაქვეითებული, ფერიტინი მომატებული, ანემია რეზისტენტულია ფეროთერაპიის მიმართ, Hb ნორმალიზაცია მიიღწევა მხოლოდ ძირითადი დაავადების მკურნალობის ფონზე.

მოზარდთა ანემიების მკურნალობა მიმართულია რკინის დეფიციტის შემცირებისკენ რკინის პრეპარატებით (უპირატესობა ენიჭება ორალურ პრეპარატებს). ანემიათა დიდი ნაწილის კომპლექსური გენეზის გათვალისწინებით, ინიშნება ვიტ. C და ფოლიუმის მჟავა, აგრეთვე B ჯგუფის და სხვა ვიტამინები. ფეროთერაპია ტარდება ჰემოგლობინის ნორმალიზაციამდე (1 თვე) შემდგომ შემანარჩუნებელი თერაპია (1-4 თვე ანემიის სიმძიმის გათვალისწინებით). აუცილებელია, მეორადი ანემიების შემთხვევაში, ძირითადი დაავადებების მკურნალობის დროული დაწყება.

მოზარდებში რკინის დეფიციტის პროფილაქტიკისთვის დიდი ყურადღება ექცევა კვების და ცხოვრების რეჟიმის მოწესრიგებას, ანემიის დროულ გამოვლენას და მკურნალობას, რისკის ჯგუფებში (ინტენსიური ზრდა, ენდოკრინული დარღვევები, სპორტსმენები, ორსულები, დონორები, ვეგეტარიანელები, ხშირად მოავადე და არასრულფასოვანი კვების მქონე პირები) მიზანშეწონილია პროფილაქტიკური დოზით რკინის პრეპარატების დანიშვნა (1-2 თვიანი კურსი).

აშშ, დაწყებული პუბერტული ასაკიდან, ყველა არაორსულ ქალს, მთელი რეპროდუქციული ასაკის განმავლობაში, ყოველ 5 წელიწადში უტარდება სკრინინგი (გულისხმობს Hb განსაზღვრას, რღა რისკ-ფაქტორების შეფასებას) ანემიის გამოვლენის მიზნით. ყოველწლიურ სკრინინგს ექვემდებარებიან მდებდრობითი სქესის პირები ჭარბსისხლიანი მენსტრუაციით, სხვა სახის სისხლის დანაკარგით, რკინის არასაკმარისი მიწოდებით და რღა დიაგნოზით ანამნეზში.

მოზარდთა ანემიის დროს უნდა შეიზღუდოს ფიზიკური დატვირთვა, მუშაობა სიმაღლეზე, კონტაქტი ტოქსიურ ნივთიერებებთან და ელექტრომაგნიტური ველის ყველა სახეობასთან.

რეზიუმე

ანემიები მოზარდებში

*მ. კვეზერელი-ძოკაძე, ზ. მთვარელიძე*  
 თსუ პედიატრიის დეპარტამენტი, ირ. ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა

ანემია მოზარდებში საკმაოდ ხშირად გვხვდება. რკინის დეფიციტი პრეპუბერტულ და პუბერტულ ასაკში არის ანემიის ყველაზე ხშირი მიზეზი. რკინადეფიციტური ანემია, მოზარდებში მულტიფაქტორულია. მასზე გავლენას ახდენს ზრდა-განვითარების სწრაფი ტემპი, ოვარიულ-მენსტრუალური ციკლის ფორმირება, მეტაბოლური და ენდოკრინული დისფუნქცია. ანემია მოზარდებში ჩვეულებრივ მსუბუქია, მძიმე ფორმები უპირატესად უკავშირდება გოგონებში საშვილოსნოდან სასხლდენას. მოზარდთა ანემიები შეიძლება აგრეთვე, განპირობებული იყოს მწვავე და ქრონიკული ინფექციით, ღვიძლის, თირკმელების, ენდოკრინული სისტემის დაავადებებით, აგრეთვე ვიტ. B12-ის და ფოლიუმის მჟავას დეფიციტით. მოზარდთა ანემიის პროფილაქტიკისთვის დიდი ყურადღება ექცევა კვების და ცხოვრების რეჟიმის მოწესრიგებას, ანემიის დროულ გამოვლენას და მკურნალობას.

SUMMARY

ANEMIA AMONG ADOLESCENTS

KVEZERELI-KOPADZE M. A., MTVARELIDZE Z. G.

TSMU Department of Pediatrics, Ir. Tsitsishvili's "ჩხოვდრენის New Clinic"

Anemia is quite common in adolescents. Iron deficiency in prepubertal and pubertal age is the most common cause of anemia. Iron deficiency anemia in adolescents is multifactorial. It is affected by rapid growth and development, ovarian-menstrual cycle formation, metabolic and endocrine dysfunction. Anemia in adolescents is usually mild, severe forms predominantly associated with uterine bleeding in girls. Adolescents' anemia can also be caused by acute and chronic infections, diseases of the liver, kidneys, endocrine system, as well as by the deficiency of Vit. B12 and folic acid. For the prevention of anemia among adolescents, great attention is paid to the regulation of diet and lifestyle, timely detection and treatment of anemia.

პათოლოგიური სიმსუქნის ქირურგიული მკურნალობა
SURGICAL TREATMENT OF ABNORMAL OBESITY

ალექსანდრე გორდელაძე
თბილისი, საქართველო

ALEXANDER GORDELADZE
Tbilisi, Georgia

სიმსუქნე საუკუნის დაავადებაა, რაც დაკავშირებულია ძირითადად თანამედროვე აღმზრდის ცხოვრების წესთან: ჰიპოდინამია-უმძრობობა და საკვების ჭარბი მიღება(განსაკუთრებით ემულგატორები). მისი სოციალური მნიშვნელობა გადაჭარბებული სულაც არ არის. გ. გალერი სამართლიანად აღნიშნავდა (წინა საუკუნეში), რომ ჩვენს დროში სიმსუქნე უნდა განვიხილოთ არა როგორც ნორმის ვარიანტი, ფიზიკური აგებულების თვისებურებანი, რომელიც გამომდინარეობს კეთილდღეობიდან და ფიზიკური სილამაზიდან, არამედ როგორც ავადმყოფური მდგომარეობა - („ავადმყოფობა“). აწ განსვენებული ქართული ქირურგიის კორიფე ალექსანდრე (საშა) ბეთანელი ამბობდა: პათოლოგიური სიმსუქნე ეს არის უმძიმესი დაავადება!!!

სიმსუქნე უარყოფით მთქმედებს ჯანმთელობის მდგომარეობაზე, ზღუდავს შრომისუნარიანობას, აქვეითებს ცხოვრების ხარისხს და ხანრძლივობას. პათოლოგიური სიმსუქნე ხელს უწყობს ისეთ დაავადებებს, როგორცაა: შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონული დაავადება, ათეროსკლეროზი, ნადლეკენჯოვანი დაავადება, ქვედა კიდურების ვენების ვარიკოზული გაგანიერება და თრომბოფლებიტი, პოდაგრა, ჭკვილის, თირკმელების, ფილტვების ქრონიკული დაავადებები, ფსიკიკური დარღვევები და ა.შ. ძირითად პათოლოგიური სიმსუქნიანი ავადმყოფების გარდაცვალების მიზეზი იყულის ხლმარღვთა მწვავე უკმარისობაა.

მსუქანი ადამიანების რიცხვი დღითიდღე იზრდება. ამას ხელს უწყობს საწარმოო პროცესის ავტომატიზაცია და მექანიკა გადაადგილების საშუალებების სრულყოფა და რა თქნა უნდა ინტერნეტი რაც პირდაპირ კავშირშია ჰიპოკინეზიასთან.

სიმსუქნე მხოლოდ ენდოკრინოლოგიური პრობლემა როდია. მიზეზებს შორის, რომელიც იწვევს სიმსუქნეს აღსანიშნავია ალიმენტური ფაქტორი(განსაკუთრებით სწორი კვება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღება), თავის ტვინის ქერქის და ჰიპოთალამური ცენტრების, ჰიპოფიზის, ფარისებრი ჯირკვლის, თირკმელზედა ჯირკვლის, პანკრეასის ფუნქციის დარღვევა. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ცხოვრების წესსა და ფიზიკურ აქტივობას. და ამ ყველაფერს ძალიან დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვის სწორ აღზრდაში!!!!!!-რომ არ გამოიწვიოთ მისი თითოეული ორგანოს ჰიპერ ან ჰიპოფუნქცია.

განსაკუთრებით რთულია ალიმენტარულ-კონსისტუციური სიმსუქნის მესამე-მეოთხე ხარისხის მკურნალობა. კონსერვატიული თერაპიის (სპეციალური დიეტები, ფარმაკოთერპია, სპეციალური ვარჯიშები, ფიზიკური დატვირთვა) უშედეგოა. დიეტის დროს (ისიც თუ დაიცვა ვინმემ) ხდება წონის კლება, მაგრამ ეს დიეტა (ანუ სწორი კვება) უნდა იყოს ცხოვრების ბოლომდე, რასაც თითქმის ვერავინ იცავს და პირიქით ჩვეული კვების დაწყებისთანავე 1.5-2 ჯერ მეტი წონის მომატება ხდება ვიდრე დაიკლო. !!!

ძნელია ცდუნება საჭმლისაგან, რომელსაც უკვე მიენივი და ასე გიყვარს. ძნელია სიგარეტის მოწვევას თავი დაანებო. ძნელია სიმადლეზე ასვლა თუ სიმადლის შიში გაქვს, და თვის დანებება რასაც მიხვეული ხარ ძალიან ძნელია!!! მახსენდება ერთი ფსიქოლოგის გამონათქვამი(ფსიქოლოგიური კინოსერიალიდან) „როცა სახლში შემოდიხარ და მაცივარში ტორტის ნაჭერი გელოდება, ტანზე გაუხდელად მიდიხარ საჭმელად; აქ გახსენდება დღევანდელი შენი წონის მანვენებელი და ჩერდები, მაგრამ თავისუფლდება შენი ორგანიზმის ენდოფილები რომლებიც ტორტის ჭამის სიამოვნებას განიჭებს და სასწრაფოდ იღებ კოვხს, რომ დროზე მიირთვა შენი ნუგბარი!“

ამიტომ გამოიწვია კიდევ ერთი გზა – ქირურგიული მკურნალობა!

1961 წ. Payne-მ პირველად ჩატარა ბარიატრიული ოპერაცია, რაც ეფუძნებოდა ნაწლავის ზედაპირიდან შეწოვის შემცირებას: ეუნო-ილფარული შუნტიება. ოპერაციულად დაადო ანასტომოზი მღივსა და თემოს ნაწლავს შორის. ბევრმა ქირურგმა აიტაცა მსგავსი ოპერაციები, მოდიფიკაციებიც კი შესთავაზეს ქირურგებს, მაგრამ გართულებების გამო ბევრმა უარი თქვა ამ ოპერაციის წრმოებაზე.

1971წ Mason-მა შემოგვთავაზე კუჭის პლასტიკა: კუჭის დიდ სიმრუდეზე პატარა „პარკუჭის“ ჩამოყალიბება და მისი კავშირი დატოვებულ კუჭთან-გასტრო-გასტრო სტომა. მიზანი იყო, რომ საკვების მცირე(ერთი ლუქით!) ულუფით შიმშილის გრძობა გამჭრალყოფი და ცოტ-ცოტა და ხშირად მიეღო პაციენტს საკვები. ოპერაციამ საკმაოდ დიდი პოპულარულობა გამოიწვია. ჩატარდა ბევრი წარმატებული ოპერაცია, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩანაცვლა სხვა მეთოდებმა.



იგივე პრინციპს ემსახურებოდა ე. წ. „სალტეს“ მოჭერა კუჭის კარდიალურ ნაწილში.

დაიწყო კუჭში ბურთის გაბერვა-დროებითი ეფექტი) კუჭი იჭრებოდა ზომაში!

ენდოსკოპით კუჭში არსებული ე. წ. „შიმშილის“ ჯირკვლების კოაგულაცია.

● და დღეისათვის ყველაზე ფართოდ გამოყენებული სლივ-გასტრექტომია, რომელიც ყველაზე ადაპტირებული და წრმატებული მეთოდია: ვიწროვდება კუჭი საყლაპავის დიამეტრამდე და რჩება პატარა „პარკუჭი“ ერთი ლუკმის მოსანელებლად. ქირურგიული ჩარევა მხოლოდ მაშინ არის რეკომენდებული, როდესაც სიმსუქნე გადადის მორბილულ (პათოლოგიურ) სიმსუქნეში, ანუ სხეულის მასის ინდექსი აღემატება 35-ს. სხეულის მასის ინდექსის მატებასთან ერთად, იმატებს სხვადასხვა თანხსლები დაავადების გამოვლენის შემთხვევებიც, რომლებიც აზიანებენ ჯანმრთელობას, აქვეითებენ ცხოვრების ხარისხს და ამცირებენ სიცოცხლის ხანგრძლივობას. იმ შემთხვევაში, თუ სხეულის მასის ინდექსი ნორმას (18.5-დან 24.9-მდე) საგრძნობლად აღემატება და ეს მაჩვენებელი 35-დან 45-მდე მერყეობს, ჭარბწონიანობის მკურნალობის საუკეთესო მეთოდი ბარიატრიული ქირურგიაა. თანამედროვე ბარიატრიულ ქირურგიაში კუჭის შუნტირება ოქროს სტანდარტად არის მიჩნეული. ჭარბი წონის 70-80%-ის კლება 12-18 თვის განმავლობაში

● შაქრიანი დიაბეტის ტიპი 2-ით დაავადების დროს 87.5%-ზე მეტ პაციენტს ურეგულირდება შაქრის დონე მედიკამენტოზური მკურნალობის გარეშე

● კუჭის შუნტირების დროს წარმოებს მაღაბსორბცია და რესტრიქცია ერთდროულად, რაც ამცირებს როგორც კალორიების მიღებას, აგრეთვე მათ შეწოვას ორგანიზმში

● ბაიპასი უფრო კომპლექსური და რთული პროცედურაა, თუმცა წონის კლების ხანგრძლივი და ეფექტური შედეგი აქვს და იწვევს კუჭის სწრაფი დაცლის სინდრომს (Dumping syndrome)

კუჭის ვერტიკალური რეზექცია ყველაზე გავრცელებული ქირურგიული მეთოდია სასურველი შედეგის მისაღწევად.

კუჭის ვერტიკალური რეზექციის უპირატესობები:

● ჭარბი წონის 60-70%-ის კლება 12-18 თვის განმავლობაში

● შაქრიანი დიაბეტის ტიპი 2-ით დაავადების დროს 66.7%-ზე მეტ პაციენტს ურეგულირდება შაქრის დონე მედიკამენტოზური მკურნალობის გარეშე

● კუჭის ვერტიკალური რეზექციის დროს წარმოებს რესტრიქცია, რაც ამცირებს კალორიების მიღებას

განსაკუთრებულად მსუქან პაციენტებში ბარიატრიული ოპერაცია კეთდება ორ ეტაპად: პირველ ჯერზე წონის კლებისთვის კუჭის ვერტიკალური რეზექცია, ხოლო მეორედ, ეფექტური შედეგის მისაღებად კი კუჭის შუნტირება – Laparoscopic Gastric Bypass.

ნებისმიერი სახის ბარიატრიულ ოპერაციამდე მიმდინარეობს პაციენტზე დაკვირვება და გამოკვლევა გართულებების თავიდან აცილების მიზნით. ასევე, აუცილებელია, ოპერაციის შემდეგ პაციენტის ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა უსაფრთხო და ეფექტური შედეგის მისაღებად.

განიხილება კიდევ ახალი მეთოდი: კუჭში ბოტოქსის ინექციები. რომელიც მოტორიკის რელაქსირებას იწვევს. მანიპულაცია ტარდება ენდოსკოპიურად, რა დროსაც ხდება ბოტულინის ტოქსინის(ბოტოქსი) ინექცია კუჭის კუნთოვან შრეში. კუნთოვანი შრე იწყებს მოდუნებას, კუჭს სჭირდება მეტი დრო საჭმლის გადასამუშავებლად და პაციენტს უფრო დიდხანს რჩება სიმამლის შეგრძნება, შესაბამისად უქვეითდება მადა და იღებს ნაკლებ საკვებს. მისი შორეული შედეგები ჯერ ცნობილი არ არის.

რაც შეეხება ქირურგიულ მკურნალობას, როგორც ყველა დაავადების დროს, მას აქვს გავრცელება - კონსერვატიული მკურნალობა რაც გამოიხატება შემდეგში: საკვების მიღების დრო და რაოდენობა!!! დღეში ყველაზე ცოტა ერთი საათი ფეხით დამოუკიდებლად გადაადგილება-სეირნობა.

კომპლექსურ მკურნალობაში აუცილებელია ენდოკრინოლოგის და ფსიქოთერაპევტის ჩართვა

აღსანიშნავია რომ ცხოვრება პროგრესირებს თავისი მატერიალურ ტექნიკური მიღწევებით. კიდევ სხვა მრავალი ახალი მეთოდი იქნება გამოყენებული, მაგრამ მთავარი პრინციპი არის ნორმალური კვება!!!

რეზიუმე

პათოლოგიური სიმსუქნის ქირურგიული მკურნალობა

ალექსანდრე გორდელაძე, თბილისი, საქართველო

პათოლოგიური სიმსუქნის ქირურგიული მკურნალობას, როგორც ყველა დაავადების დროს, მას აქვს გავრცელება – კონსერვატიული მკურნალობა რაც გამოიხატება შემდეგში: საკვების მიღების დრო და რაოდენობა!!! დღეში ყველაზე ცოტა ერთი საათი ფეხით დამოუკიდებლად გადაადგილება-სეირნობა.

კომპლექსურ მკურნალობაში აუცილებელია ენდოკრინოლოგის და ფსიქოთერაპევტის ჩართვა აღსანიშნავია რომ ცხოვრება პროგრესირებს თავისი მატერიალურ ტექნიკური მიღწევებით. კიდევ სხვა მრავალი ახალი მეთოდი იქნება გამოყენებული,

მაგრამ მთავარი პრინციპი არის ნორმალური კვება!!!

SUMMARY

SURGICAL TREATMENT OF ABNORMAL OBESITY

ALEXANDER GORDELADZE

Tbilisi, Georgia

Surgical treatment of pathological obesity, as in all diseases, it has a continuation - conservative treatment, which is manifested in the following: time and amount of food intake !!! Walk-independent walking for at least one hour a day. In complex treatment it is necessary to involve an endocrinologist and a psychotherapist It is noteworthy that life progresses with its material and technical achievements. Many more new methods will be used, But the main principle is a normal meal !!!

## „პეროქსისომების ბიოგენეზი“ “BIOGENESIS OF PEROXISOMES”

ცისანა უბულავა, თსუ სტუდენტი  
TSISANA UGULAVA, student TSMU

### პეროქსისომის ბიოგენეზი

პეროქსისომა არის ორგანული ეუკარიოტულ უჯრედში, რომლის ძირითადი ფუნქცია არის წყალბადის ზეჟანგის წარმოქმნა და დეტოქსიკაცია. ის შედგება მემბრანისგან, ხოლო მის შიგნით არის მოთავსებული ნუკლეოტიდი, სადაც ხშირად კრისტალისებრი სტრუქტურები გვხვდება ისინი პირველად აღმოაჩნა 1954 წელს, იოჰანეს როდინმა, თავიდან მათ მიკროსხეულები უწოდა, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი წარმოქმნიდნენ წყალბადის პეროქსიდს, ამიტომაც მათ ეწოდათ პეროქსისომები.

არსებობს სამი ძირითადი ჰიპოთეზა პეროქსისომების ბიოგენეზთან დაკავშირებით, პირველი: პეროქსისომა არის ე.პ.რ-ის წარმონაქმნი, ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ ენდოპლაზმურ რეტისკულუმზე სინთეზდება ცილა აუცილებელი პეროქსისომებისთვის.

**მეორე:** პეროქსისომა არის ე.პ.რ. და მიტოქონდრიის შერწყმით მიღებული, უკვე ეს ჰიპოთეზა არის დაფუძნებული იმაზე, რომ მიტოქონდრიას და პეროქსისომას აქვთ საერთო გენები

**მესამე:** პეროქსისომა არის აქტინო ბაქტერია. დღეს მე შემოგთავაზებთ ჩემ ჰიპოთეზას და ჩემ ხედვას პეროქსისომის განვითარების შესახებ.

პეროქსისომები დაყოფით უნდა მრავლდებოდნენ ან ენდოპლაზმური რეტისკულუმისგან მოწვევით, არსებობს შესაძლებლობა, რომ ორივე გზით მრავლდებოდეს ეს ორგანული. **მიტოქონდრიასთან,** რომ გავავლოთ პარალელი მიტოქონდრიას თავდაპირველად ბევრად მეტი გენი ჰქონდა და შემდეგ მან მისი ნაწილი გასცა, ცილის ნაწილი, რომელიც მიტოქონდრიას ეკუთვნის სინთეზირდება ე.პ.რ., ამით გამო შეიძლება იყოს გამოწვეული პირველი თეორია, რომ პეროქსისომა არის ენდოპლაზმური რეტისკულუმის წარმონაქმნი, ეს განპირობებული არის იმითაც, რომ პეროქსისომას არ გააჩნია საკუთარი დნმ. მისთვის აუცილებელია ცილის იმპორტი გარედან. როგორც ჩვენ ვიცით, მიტოქონდრია თავდაპირველად იყო ბაქტერია, პროკარიოტული ორგანიზმი, რომელიც ფაგოციტოზის საშუალებით მოხვდა ეუკარიოტულ ორგანიზმში. თავდაპირველად პეროქსისომა არ იყო საჭირო, რადგან აერობული ცხოველების სტილი არ არსებობდა, როდესაც დედამიწაზე ჟანგბადის რაოდენობა გაიზარდა, გაჩნდა მოთხოვნა, როგორც პეროქსისომაში, ისე მიტოქონდრიაში. პეროქსისომის ძირითადი ფუნქცია წყალბადის ზეჟანგის წარმოქმნა ჟანგბადის საშუალებით სხვა ყველა ფუნქცია მისთვის საჭიაროა ლიზოსომისათვის (რომელთანაც პარალელს შემდეგში ისე გავავლებ) ანუ თუ ჩვენ დაგვაინტერესებს დრო როცა პეროქსისომა გაჩნდა ორგანიზმში ან გაჩნდა იმ სახით, რომელიც ჩვენ ახლა ვიცით ეს არის დაახლოებით ის დრო როცა მიტოქონდრია, როგორც ბაქტერია ფაგოციტოზის გზით მოხვდა ეუკარიოტულ უჯრედში. უფრო კონკრეტულად დედამიწაზე ჟანგბადის რაოდენობის მზადების პერიოდი. თუ პეროქსისომა არ იყო ყო-

ველთვის ორგანული მაშინ რა შეიძლებოდა ის ყოფილიყო, ვირუსი. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ პეროქსისომა იყო ვირუსი, რომელიც თანამედროვე ბაქტერიოფაგს ჰგავს ანუ პარაზიტირებს ბაქტერიის საშუალებით, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ნაკლებჟანგბადიან გარემოში ის იყენებდა მიტოქონდრიის მიერ მოპოვებულ ჟანგბადს და, როდესაც ის შთანთქა ეუკარიოტმა პეროქსისომა მიტოქონდრიასთან ერთად მოხვდა ეუკარიოტში და შემდეგ საკუთარი ნიშა დაიკავა, ბევრი თვლის, რომ პეროქსისომა თავდაპირველად აქტინო-ბაქტერია იყო და მისი ძირითადი ფუნქცია სწორედაც, რომ მონელება იყო, თუმცა, ჩემი აზრით, მონელება ძველ დროს უფრო თავდაცვით მექანიზმის როლს ასრულებდა, ხოლო პეროქსისომა თავისი ერთშრიანი და მარტივი აგებულების გამო რთულია წარმოვიდგინოთ, როგორც დამოუკიდებელი პროკარიოტი, უფრო სავარაუდოა, რომ მისი კომპაქტურობის და თვისებების უნიკალურობის გამო ის გახლდათ სწორედაც, რომ ვირუსი ანუ ცხოველების არაუჯრედული ფორმა. კიდევ უნდა აღნიშნოს, რომ პეროქსისომას აქვს უნიკალური თვისება გამრავლდეს დნმ-ის და რიბოსომის გარეშე, ანუ ის ნაწილობრივ ავტონომიურად მაინც შეიძლება ჩაითვალოს ეუკარიოტული ორგანიზმებისთვის თითქმის შეუძლებელია მსგავსი რამ და ორგანულას მიტოქონდრიას, რომელსაც აქვს მსგავსი თვისება გააჩნია რგოური დნმ. ეს უნიკალური თვისება მარტივად აიხსენება მისი ვირუსული წარმოშობით. თუ გავავლებთ პეროქსისომის მსგავს ორგანულასთან პარალელს ანუ **ლიზოსომასთან,** ჩვენ ვხედავთ, რომ ორივეს ფუნქცია არის მონელება, დეტოქსიკაცია ორივე არის ერთმემბრანიანი თუ ლიზოსომის ბიოგენეზზე ვისაუბრებთ ის კეთდება ენდოპლაზმურ ბადეზე პეროქსისომის ცილების ნაწილიც აგრეთვე კეთდება ენდოპლაზმურ ბადეზე, თუმცა აპოპტოზში მონაწილეობას პეროქსისომა თითქმის არ ღებულობს და ის ბევრად უფრო მცირეა ვიდრე ლიზოსომა, ის, რომ ორგანიზმის ცხოველქმედების ერთ-ერთ ძირითად სტადიაში არ აქვს აქტიური როლი, მიუთითებს იმაზე, რომ ორგანული არის შედარებით ახალი ადამიანის ორგანიზმისთვის. ჩვენი ორგანიზმი მისწრაფებს იმისაკენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ენერჯია დახარჯოს მასსადმე, რად უნდოდა ორგანიზმს ორი მსგავსი თვისების მქონე ორგანული, და თუ მას შეეძლო გაეკეთებინა ორგანული, რომელიც ითავსებს ლიზოსომის ფუნქციას და კიდევ წყალბადის ზეჟანგს ქმნის, რად უნდოდა ორივეს შექმნა, რადგან ასე თუ ისე ცილების ნაწილი მათთვის განსხვავებულია და ეს ზედმეტი ენერჯიის ხარჯვაა. კიდევ უნდა აღნიშნოს, რომ აპოპტოზის ფუნქცია ოდიდგანვე იყო უჯრედში და სავარაუდოა, რომ როგორც ახლა, მაშინაც ამ პროცესში მონაწილეობას იღებდა ლიზოსომა, რთულია დაიჯერო, რომ ორგანულია, რომლის მთავარა ფუნქცია მონელებაა არ იღებს აქტიურ მონაწილეობას აპოპტოზში. პასუხი მარტივია ლიზოსომა არსებობდა მანამდე, რო-



გორც „ძირითადი მომწელებელი აპარატი“ სანამდე და-  
იწყებოდა აერობული ცხოვრება და ახლაც ამ თვი-  
სებას ატარებს, პეროქსისომა ინტეგრირდა ჟანგბადის  
რაოდენობის ზრდის დროს, თუმცა ის არ შეუქმნია ორ-  
განიზმს, რადგან მაშინ იარსებებდა ბევრი მეტად რა-  
ციონალური გადაწყვეტილება ენერჯის ეკონომიის  
თვალსაზრისით, პირველი ვარიანტი, რომ ლიზოსომა  
შეიძენდა პეროქსისომის თვისებას, მეორე ლიზოსო-  
მა ნელ-ნელა ადარ იქნებოდა საჭირო, თუმცა ახლა  
ლიზოსმას ნამდვილად ვერ შევადარებთ რუდიმენტულ  
ორგანოს, რადგან პეროქსისომის მომწელებელი თვი-  
სებები არ არის საკმარისი სრულფასოვანი ეუკარი-  
ოტისთვის. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ პეროქსი-  
სომა თამაშობს როლს მცენარის ფოტოსინთეზში, ეს  
ასე თუ ისე მიუთითებს, რაღაც ავტომატიზმზე. თუ ჩა-  
თვლით, რომ პეროქსისომის წარმოშობა ენდოსიმბი-  
ოტურია და ის იყო ვირუსი არსებობს შესაძლებლობა,  
რომ მომავალში ადამიანმა შეძლოს სხვადასხვა „სა-  
სარგებლო“ ადამიანისათვის ვისებების ვირუსების ინ-  
ტეგრირება უჯრედში. ამავე დროს ადამიანის გენო-  
მის დიდი ნაწილია ვირუსული და ეს იმას ნიშნავს,

რომ ჩვენი უჯრედები აქტიურად ურთიერთქმედებენ ვი-  
რუსებთან. სხვა პეროქსისომის ფუნქციები, როგორი-  
ცაა ნაღვლის მუკავების სინთეზი უბრალოდ არ იყო  
მაშნ საჭირო. საინტერესოა, ის, რომ, ზოგ მცენარეში  
პეროქსისომა ფოტოსინთეზშიც მონაწილეობს.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს მისი სტრუქტურული გან-  
საკუთრებულობა ნუკლეოიდი, რომელიც აქვს პეროქ-  
სისომას შეიძლება იყოს კაპსიდი, რომელმაც სახე იც-  
ვალა.

პიპოთეზა ძირითადი საფუძვლებია.

– პარალელი მიტოქონდრიასთან.

– მისი არასაჭიროება ცხოვრების ანაერობული  
სტილის დროს.

– ლიზოსომის არსებობა.

– სიმარტივე

– აგებულება

ადამიანის გენომის უმრავლესობა არის სწორედ ვი-  
რუსული წარმოშობის და შესაძლოა ვირუსი ინტე-  
გრირდეს ეუკარიოტულ უჯრედში, მომავალში კი, სწორედ  
ვირუსების დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია შევცვა-  
ლოთ ადამიანის ორგანიზმი, უჯრედულ დონეზე.

## რეზიუმე

### „პეროქსისომების ბიოგენეზი“

ცისანა უბულავა, თსუ სტუდენტი

პეროქსისომის ფუნქციები, როგორცაა ნაღვლის მუკავების სინთეზი უბრალოდ არ იყო საჭირო. საინტე-  
რესოა, ის, რომ, ზოგ მცენარეში პეროქსისომა ფოტოსინთეზშიც მონაწილეობს.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს მისი სტრუქტურული განსაკუთრებულობა ნუკლეოიდი, რომელიც აქვს პეროქ-  
სისომას შეიძლება იყოს კაპსიდი, რომელმაც სახე იცვალა.

პიპოთეზა ძირითადი საფუძვლებია.

– პარალელი მიტოქონდრიასთან.

– მისი არასაჭიროება ცხოვრების ანაერობული სტილის დროს.

– ლიზოსომის არსებობა.

– სიმარტივე

– აგებულება

ადამიანის გენომის უმრავლესობა არის სწორედ ვირუსული წარმოშობის და შესაძლოა ვირუსი ინტე-  
გრირდეს ეუკარიოტულ უჯრედში, მომავალში კი, სწორედ ვირუსების დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია შევცვა-  
ლოთ ადამიანის ორგანიზმი, უჯრედულ დონეზე.

## SUMMARY

### “BIOGENESIS OF PEROXISOMES”

TSISANA UGULAVA, student TSMU

Peroxisomes were found in 1954, first they were called microbodies, only then we called them peroxisomes. We have 3 main hypotheses about their biogenesis. First: peroxisome is made on rough endoplasmic reticulum. second: peroxisome is “ცვილი” of mitochondria and rough endoplasmic reticulum third: peroxisome was actinobacteria. In my vision peroxisome was virus, because of several reasons.

We have lysosomes: they have nearly same functions. in evolution we try to save some energy, so why nature created organelle with no reason? That make us think that peroxisomes were integrated in eukaryotic cell.

• Passive role in apoptosis: as we know apoptosis is one of main process and peroxisomes passive role in it for detox organelle make me think that peroxisomes appear to be younger than lysosomes.

• We used to lead anaerobic lifestyle: as we know main resource of peroxisome is oxygen, so we don't need it, when oxygen was low in number and we used to lead anaerobic lifestyle.

• Parallel with mitochondria, Growth and division of peroxisomes: as we know mitochondria and peroxisomes have lot in common. they could divide, but peroxisomes doesn't have its own DNA. As we know mitochondria gave some of its DNA and now some of its proteins are made of rough endoplasmic reticulum, so can peroxisomes.

• Simplicity of structure: as I mentioned in past peroxisome were independent, but it couldn't be bacteria. its structure is very simple, but it could be a virus. In peroxisomes we can see crystalloid core which could be capsid in past.

• Keller, G. A.; Gould, S.; Deluca, M.; Subramani, S. (May 1987). “.

Title of the publication. Publisher

• Fahy D., Sanad M. N., Duscha K., Lyons M., Liu F., Bozhkov P., Kunz H. H., Hu J., Neuhaus H. E., Steel P. G., Smertenko A.

• Альбертс и др., 2013, с. 1110—1111

## COMBATING PARENCHYMAL BLEEDING FROM THE LIVER BY TEMPORAL EXTRACAPSULAR COMPRESSION OF THE PARIETAL BRANCHES OF THE PORTAL VEIN AND OTHER RELEVANT TUBULAR STRUCTURES (PARIETAL ARTERY AND CORRESPONDING BILE DUCT) OR PARIETAL PORTAL TRACT AND THE RESULTS OF CLINICAL USE OF THIS METHOD

Z. CHOMAKHASHVILI, N. ZOSIDZE, O. TSETSKHLADZE,  
R. BOLKVADZE, D. JINTCHARADZE.  
*Batumi State University*

**Relevance.** One of the most important problems in surgical hepatology today is bleeding, which is why the postoperative period often ends in an unwanted incision. Fighting bleeding is considered to be one of the essential moments in reducing postoperative lethality in various abdominal injuries and diseases.<sup>1</sup> The most common and affordable method of liver surgery is the temporary cessation of blood flow to it by the temporary suppression of the hepatic duodenum provided by Langenbach in 1890, but despite the widespread use of the method, its use is limited to 10 to about 35 minutes, which is insufficient for surgery. For the production of the intervention and its normal completion.<sup>2</sup> Therefore, as an alternative, we would like to offer a wide-ranging trial on the Department of Topographic Anatomy and Surgical Surgery of Tbilisi State Medical University (Georgia).

**Materials and research methods.** 223 Liver Drugs were studied in conjunction with the liver part of the hepatic duodenum from neonates and corpses under 92 years of age whose death was not associated with pathology of the hepato-biliary system.

The segmental structure of the liver was considered according to C. Couinaud's scheme, the technique of separation of the portal plate from the liver parenchyma was treated with 30 newly fixed preparations, and for 10 corpses the technique of temporary occlusion of the right and left portal tracts was developed. In addition to this, the capacity of small port tracts encountered on the way was also determined at the time with the help of a device specially designed for this purpose, which was a cylinder with numbers on one side where the price per unit was 0.15 Newtons and the working range of the instrument was 0.15-9 Newtons. At the rate of the cylinder appeared a resistance determinant connected to a specially graded spring. One end of the cylinder was finished with a metal shaft that had a flattened, doubled, and 300-bent end at the bottom.

After removal from the corpse, the drug was measured, plotted, and tubular structures were inserted into the hepatic portal of the liver to study their relationship and for 3-4 days (semi-corrosive) for the preparation of preparations it was immersed in 80% technical hydrochloric acid solution, all of the above was done after the liver formation, data registration and transfusion processes were completed.

To prepare histopathographic and histological preparations, blocks of 3x3x3 cm were cut from different areas of the liver and placed in 12% formalin for 24 hours, then rinsed with running water, dried and placed in 1 portion of acetone for 1

day. We repeated the listed manipulations 4-5 times, after which the drug was aired for 10-15 minutes and placed in 8% celluloid for 48 hours. The drug from celluloid was transferred to wooden blocks, they were marked and placed in a chloroform jar for 2 hours. Enlightenment was done on a microtome and taken with hematoxylin and eosin van Gizon or dyed in xylene.

In order to study the relationship between the bile mucosa and the door plate, we poured a solution of mascara-gelatin into the common bile duct. By the method of Komakhidze.

Our clinical material includes 24 cases of temporary extracapsular obstruction of the right and left portal tracts in patients with various focal liver pathologies who underwent treatment in the abdominal department of the National Oncology Center of Georgia in 1986-1986.

**Results.** From a classical point of view, the porta hepatis is a transverse groove according to the international anatomical nomenclature, but due to the fact that the portal tracts are also located in the round yoga groove and the right extra groove in the presence of the latter, we consider it appropriate. In the composition. The size of the transverse groove was determined by the size or size of the latter (maximum distance between the anterior edge of the square and the anterior edge of the caudal portion), the length or frontal size (distance between its right and left edges) and the depth.

Here we want to mention the size of the transverse groove and its location on the visceral surface of the liver is very important for the production of surgical interventions on the organ. Approach to perform various surgical manipulations. At the same time there is a direct correlation between the tail portion depth of the transverse groove with a coefficient of 0.87. Also a direct correlation with a coefficient of 0.90 is revealed by the length of the square portion and the depth of the portal vein to its anterior edge, i.e. the longer the square and caudal portions of the liver, the deeper the port portals are located and difficult to access and manipulate.

For approaching vascular-biliary formations in the area of the liver door, in addition to the shape of the liver, it depends on the distance from the anterior edge of the liver to its door. At the same time it turns out that the displacement of the liver door in the anterior-posterior direction on the visceral surface of the body is related to the ratio of the square share to the length, which is determined by the following formula Length of square share x 100 / Hepatic sagittal size.

The relative size of the square share on our material ranged from 27.7 to 68, or in one extreme case the length of the



square share was 1/3 of the sagittal size of the liver, and in such cases the liver door is displaced forward, and in the other extreme case it is the length of the square share. Half the size of the gill door was shifted in the backward direction. In addition to the upper extremity, there is also a third face of the liver door, or the shape of its middle location. In the relatively wider range, there is a variation of the round yoga groove, the variability of which is mentioned above, which have a great influence on the variability of the shapes of the liver door itself.

In order to prevent temporary extracapsular secretion of the portal portals during postoperative or its accompanying blood and bile flow, it is necessary to determine the magnitude of the force required to perform this manipulation. For this purpose, we used a special tool to extract extracapsular port portals, which required a force equal to 1.2 - 1.95 ( $M \pm m = 0.99 \pm 0.18$ ) Newton, and 4.35 - 4.95 ( $M \pm m = 4.7 \pm 0.19$ ) Impact with force equal to Newton. Based on the above, we can conclude that extracapsular extraction of port ports is impossible to damage the small port ports of tail and square ports. At the same time, if we add to this the fact that on the lines necessary for the extracapsular separation of the port portals we have introduced, we do not find either the narrow port portals in the tail and the square portions or the separate blood vessels, bile ducts and bile ducts.

**Conclusion.** Of the 24 patients named who underwent the procedure of temporary closure of the port complexes during the surgical intervention, 3 patients died on the 5th, 6th and 23rd day after the operation, whose death was not related to the essence of the mentioned method in any case. Insufficiency, acute cardiovascular failure and acute intoxication in the setting of diffuse peritonitis formed on the background of malignant mold of the gastrointestinal tract. Temporary disconnection of one anatomical part of the liver from the afferent blood supply by temporarily occluding the relevant port complex for surgical intervention in the area disconnected from the blood supply is a rational method of preventive hemostasis, the reliability, efficiency and simplicity of which allow it to be widely used.

## რეზიუმე

**ღვიძლის პარენქიმული სისხლდენის წინააღმდეგ ბრძოლა კარის ვენასა და სხვა შესაბამისი მილაკოვანი სტრუქტურების (პარქიმული არტერია და შესაბამისი ნაღვლის სადინარი) ან პარქიმალური პორტალური ტრექტის დროებითი ექსტრაკაპსულური შეკუმშვით და ამ მეთოდის კლინიკური გამოყენების შედეგებით**

**ზ. ჩომახაშვილი, ნ. ზოსიძე, ო. ცეცხლაძე, რ. ბოლქვაძე, დ. ჯინჯარაძე.  
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი შესაბამისობა.**

ქირურგიული ჰეპატოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა დღეს სისხლდენაა, რის გამოც პოსტოპერაციული პერიოდი ხშირად არასასურველი ტრილით მთავრდება. სისხლდენასთან ბრძოლა ითვლება ერთ – ერთ მნიშვნელოვან მომენტად მუცლის სხვადასხვა დაზიანებებსა და დაავადებებში პოსტოპერაციული ლეტალობის შემცირებაში. ღვიძლის ქირურგიის ყველაზე გავრცელებული და ხელმისაწვდომი მეთოდია სისხლში სისხლის ნაკადის დროებითი შეჩერება ღვიძლის თორმეტგოჯა ნაწლავის დროებითი ჩახშობით. ლანგენბახის მიერ 1890 წელს, მაგრამ მეთოდის ფართო გამოყენების მიუხედავად, მისი გამოყენება შემოიფარგლება 10 – დან დაახლოებით 35 წუთამდე, რაც ოპერაციისთვის არასაკმარისია. ინტერვენციის წარმოებისა და მისი ნორმალური დასრულების მიზნით.

ამიტომ, როგორც ალტერნატივა, ჩვენ გვსურს შემოგთავაზოთ ფართო კვლევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ქირურგიული ქირურგიის კათედრაზე.

## LITERATURE:

1. Боровков С.А. - Операции на печени – М.: Медицина 1968.
2. Бурденко Н.Н. – Материалы к вопросу о перевязки v. portae (экспериментальное исследование): диссертация – Юрьев 1909.
3. Гугушви Л,Л. - Ретроградное кровообращение печени и портальная гипертензия. М.: Медицина 1972.
4. Духинова З.И. – Пережатие Lig. Hepatoduodenale как метод „безкровных“ операции на печени // Вестник хирургии и пограничных областей - 1922, - v.1 - № 3 – 141-150.
ერო ხარისხი. სადისერტაციო თემა შეფასდა, როგორც თანამედროვე სეფსისოლოგიის განვითარების ეპოქალური მოვლენა. 1995 წელს გაიმარჯვა ქ. დერბენტის (დაღესტნის ა/რ, რუსეთი) მაგომედ იარაგის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და დაინიშნა თერაპიული კათედრის გამგედ.

1997 წელს ივრ დოლიძე მოსკოვში, ენერგოინფორმაციულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. 1998 წელს მიანიჭეს პროფესორის სამეცნიერო – პედაგოგიური წოდება.

1998 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტული მედიცინის, სამკურნალო ფიზკულტურისა და ადაპტური სპორტის კათედრაზე პროფესორის თანამდებობაზე, კათედრის გამგედ (2006), დეპარტამენტის ხელმძღვანელად (2007). 2007 წელს აკადემიის გაუქმების გამო მუშაობას აგრძელებს თბილისის

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 2012 წლიდან უძღვება სალექციო და სემინარების კურსს კინეზოთერაპიასა და ვალეოლოგიაში.

2013 წელს აირჩიეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, სადაც დღემდე მუშაობს.

1999 წელს პროფესორი ივრ დოლიძე აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტის და სახელგონებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. 2005 წლიდან იგი აკადემიის აკადემიკოსი მდივანია. 2004 წლიდან საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრია. არის 184 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 (შვიდი) წიგნის ავტორი.

მოპოვებული აქვს სახელმწიფო ლიცენზიები შინაგანი სნეულებების, ინფექციური სნეულებების, სპორტული მედიცინის, სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის საექიმო სპეციალობებში. არის უმაღლესი კატეგორიის ექიმი ინფექციონისტი. მას, 2017 წელს „ღვაწლმოსილი მკურნალის (თერაპევტის)“ საპატიო წოდება მიანიჭეს. დაჯილდოებულია მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით (2006).

**გემშივლით ბატონო ივრ. დმურთმა გაანათლოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოსის ივრ დოლიძის სული.**

**რედაქცია ბთავაზოთ ბატონი ივრის ბოლო ნამუშევარს და კიდევ ერთხელ დავაფხვნიდებით, თუ რა დიდ პიროვნებასთან გვძონდა ურთიერთობა:**

## ჯანმრთელობა – ეს არის თავისუფლებაში მყოფი ადამიანის შეუზღუდავი სიცოცხლე

**(ადამიანის ჯანმრთელობის მართვა იღუმალებით მოცულ ორგანიზმში)**

დედამიწაზე ყოველი ადამიანი გარკვეული სულიერი მისიის შესასრულებლად იბადება და მას გააჩნია თავისი პირადი განუმეორებელი კარმა. ადამიანი სულისა და სხეულის გარდა დაჯილდოებული არის ღვთიური უნარით, რომლითაც უახლოვდება უფალს და ხდება მასთან გაერთიანება. ადამიანის მიწიერი ცხოვრება იმისათვის ეძლევა, რომ ეს ღვთიური უნარი გამოავლინოს და განავითაროს. ადამიანი იბადე-

ბა, რათა მან ცხოვრებისეული გამოცდილებით, შრომითა და განცდებით, მათი მრავალფეროვნებით შეიცნოს საკუთარი თავი და ღვთიური საწყისი, რათა შემდგომ ათივისოს გარშემო არსებული სივრცისა და სამყაროს მთლიანობის აღქმისათვის, რომ ადამიანი გახდეს უფლის მსგავსი და შეერწყმოს ღმერთს. ამისათვის ადამიანს ერთი სიცოცხლეც არ ყოფნის და ამიტომ იგი თავიდან იბადება მანამ, სანამ

არ მიადწევს სულიერ სრულყოფას. მეცნიერების დარგებში მატერიალისტურმა მიდგომამ მრავალი აუხსნელი ფაქტი დააგროვა, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია სიცოცხლის წარმოშობისა და სახეობათა წარმოქმნა-განვითარების ევოლუციური თეორიის პოზიციები. დღემდე აუხსნელია შავი ხვრელების ფუნქციური მნიშვნელობა, რითაც სავსეა სამყარო. ისინი კოლოსალური მასის გრივალს წარმოადგენს, რომ-

ლებიც იწოვს ყველაფერს, რაც მათ გზაზე ხვდება. ეს იქნება ვარსკვლავები, თუ სინათლე. შეუსწავლელია აგრეთვე შავი ენერგიები (ანტიგრავიტაციული ენერგიები), დაუდგენელია კოსმოსური ვაკუუმის აგებულება და შემადგენლობა. ეს ყოველივე დედამიწისა და მთვარისაგან განსხვავებით შედგება არა მოლეკულებისაგან, ატომებისაგან, ელექტრონებისაგან, პოზიტრონებისა და კვარკებისაგან, არამედ სრულიად სხვა, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ელემენტალური ნაწილებისაგან. მეცნიერებმა შეძლო შეესწავლა სამყაროს აგებულების მხოლოდ 3-5%.

**ადამიანის უკიდვანო შინაგან სამყაროს, როგორც მამა თეოდორე აღნიშნავს: „მხოლოდ ღმერთი აგებს და არა ხორციელი სიამოვნებანი. დღევანდელ საქართველოში ზნეობის მხრივ მიიმე მდგომარეობაა. სატელევიზიო გადაცემები („ღამე შორენასთან“, „სიმათის დრო“ და ა.შ.) ქართველ ერზე ახორციელებს ფსიქოლოგიურ და სულიერ ძალადობას, რაც მიზეზია მრავალი დაავადების წარმოშობაში და მის გავრცელებაში.**

ღმერთმა დედამიწას ადამიანის სახით სულის უზენაესობა დაუმკვიდრა, უფალმა ყოველ ცოცხალ არსებას, რაც იბადება, იზრდება და კვდება, თავისი შესაფერისი იღუმალი სული შთაბერა. „სული, როგორც სამი საუკუნის წინ ფილოსოფოსმა გრიგორი სკავარაძემ აღნიშნა – არის ის, რაც ბალახს ბალახად აქცევს, ხეს-ტყეოდ და ადამიანს ადამიანად, სულის გარეშე, ბალახი თივია, ხე – შეშა, ადამიანი კი – გვამი“. უფრო ადრე, ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე თვლიდა, რომ „სული სხეულის გამაერთიანებელი თვისებაა, ის ნებისმიერი კონკრეტული სიცოცხლის არსია. სხეულს უსულოდ არსებობა არ შეუძლია, ისევე როგორც სულს არ შეუძლია სხეულის გარეშე არსებობა“. **კანონზომიერება** ის არის რომ „ყოველი ბალახის ღეროს გააჩნია დამცავი ანგელოზი, რომლის ძალა მას აძლევს ბრძანების გაცემის საშუალებას: „გაიზარდოს!“ ეს ნიშნავს, რომ ბალახის ღეროს ზრდა და მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ მისი ანგელოზის ნებისყოფის გამოვლენით.

სამყარო ერთიანი სისტემაა, რომლის ნაწილები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ერთი მათგანის ცვლილებები მსგავს მოვლენებს იწვევს მეორის განვითარებაში. ადამიანი ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია და მისი ცხოვრება უშუალოდ დაკავშირებულია გარე

სამყაროს განვითარებასთან და ცვლილებებთან კომპლექსში. ჩვენ ვიცით, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ღმერთმა (კონსიერმა გონმა) შექმნა სამყარო (მიწა, წყალი, მნათობები, ცოცხალი არსებები და სხვა არაცოცხალი საგნები და მოვლენები) და მისი გამორჩეული უმაღლესი არსება – ადამიანი, მას წესები და კანონები დაუდგინა. ადამიანებმა აქედან ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ, როგორც დაუშვებელია პლანეტათა მოძრაობის შეცვლა, ან მზის სისტემის კანონზომიერებთა დარღვევა, ისე არ შეიძლება უფლის მიერ ადამიანებისთვის დადგენილი წესებიდან გადახვევა, რადგან ადამიანი მიწიერი სამყაროს გვირგვინია და მისი ყოველი გადაცდომა შემოქმედის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, ამიტომ ადამიანის მიერ ღვთიური წესრიგის დარღვევის თითოეული მცდელობა ცოდვად მიიჩნევა.

სამყაროში ყველა ადამიანს გააჩნია საკუთარი გენეტიკური კოდი, რომელიც მუდმივ რეჟიმში იმართება ღმერთის მიერ შექმნილი სულით. ეს უკანასკნელი კი – მართავს ადამიანის ორგანიზმს. ადამიანისათვის, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნება, ასევე დაავადების განვითარება უშუალოდ დამოკიდებულია მის გენოტიპზე, რაც ფაქტიურად სხეულის ინფორმაციული ველით არის „კოდირებული“. თუ ინფორმაციული ენერგეტიკული ველი დასუსტებულია, მას შეუძლია გენეტიკური კოდის შეცვლა, რაც მიზეზი ხდება ქრონიკული დაავადების ჩამოყალიბების. ამ პირობებში ნებისმიერ ვირუსს (უპირატესად, ეს არის შიდსის, ონკო- და ჰეპატოვირუსები) ამა თუ, იმ ხარისხით შეუძლია შეცვლოს დეზოქსირიბონუკლეინის მჭავას კოდი და უჯრედს მიაყენოს მძლავრი „ენერგეტიკული დარტყმა“. აქ, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა ნორმალური ადამიანი „ჩუმაღ ატა-

რებს“ რამოდენიმე პათოლოგიურ გენს და თუ სიცოცხლის მანძილზე ის გარკვეულ პირობებში დაწვილდა ასეთივე სახეობის პათოლოგიურ გენთან, დაავადების სახით გამოვლინდება მომავალ თაობებში.

დღეს, ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია სრული ქრისტიანული შეხედულება დაავადების განვითარების მექანიზმზე. კერძოდ გაურკვეველია ან დაევიწყებულია წარმოდგენები დაავადების თანამედროვე საუკუნის ფილოსოფიური იდეოლოგიური პრინციპები უპირატესად ემყარება აღმოსავლური რელიგიების სწავლებას. საერთოდ მეცნიერება წარმოიშვა ანიმიზმისა (ლათ. -anima ნიშნავს სულს. ტერმინი ეფუძნება პირველყოფილ ხალხთა რწმენას, რომ ყველა საგანს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სული) და ოკულტიზმის (ლათ. - occultus ნიშნავს ფარულს, საიდუმლოს, რისგანაც წარმოიშვა მისტიკური მოძღვრების საერთო სახელწოდება) ცნებების ურთიერთშერწყმას. ოკულტიზმის მიმდევრები თვლიან, რომ ბუნებაში არსებობენ ზებუნებრივი იდუმალი ძალები, რომლებთანაც ადამიანებს შეუძლიათ ურთიერთობა დაამყარონ მაგიური შემოქმედებით, ჯადოსნობით და ა.შ. აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, რომ დედამიწა, როგორც სხვა არსებული პლანეტები შედგება სამი სამყაროსაგან, რომელთაგან პირველი-ფიზიკური სხეულია, მეორე – ფაქტიური სხეულია, ე. წ. ასტრალური (გრძნობების, სურვილების და ემოციების სამყარო) და მესამე – აზროვნების სამყარო ანუ, ცეცხლოვანი, როგორც მას უწოდებენ. სამივე სამყარო ერთმანეთში ერთმუშტად არის შეკრული (კონცენტრირებული, გაერთიანებული) და წარმოქმნის ე. წ. თეთრ სხეულს, რომელიც თავისი ფორმით ემსგავსება რუსულ საბავშვო სათამაშოს – „მატრიოშკას“. აქედან გამომდი-





ნარე, ჩვენი პლანეტა (დედამიწა) შედგენილია მკვრივი ფიზიკური მატერიისაგან, რომელიც სამყაროში ყველა სამივე სფერო ერთმთლიანობის მექანიზმით მოქმედებს და ამასთან, პლანეტის მოსახლეობა ერთმანეთს ვერ ხედავს და შეიგრძნობს. ისინი ერთი სამყაროდან გადადიან მეორეში, ერთში კვდებიან, მეორეში კი იბადებიან და ა.შ. ადამიანს ყოველ კონკრეტულ სამყაროში თავისი შესაბამისი სხეული გააჩნია და ერთი მდგომარეობიდან გადადის მეორეში. ასე მაგალითად, ადამიანის ფაქიზ სხეულს ძილის დროს შეუძლია მოსცილდეს ფიზიკურ სხეულს და გადავიდეს ასტრალურ სამყაროში. ანალოგიური მოვლენა შეიძლება განვითარდეს ადამიანის კლინიკური სიკვდილის პროცესში. ძველი ბერძნები ფიზიკურ სხეულს თვლიდა სულის ტანად, ხოლო შუა საუკუნეებში მას სულის საპყრობილედაც წარმოშობაზე, როგორც სულიერი დაზიანების მიზეზზე ჩადენილი ცოდვების გამო. ის ხშირად გვევლინება სასჯელის მსუბუქი ფორმით, რადგან ადამიანი საკუთარი სულის შემეცნებას სიყვარულით ნიშნით ემსახურება. ამით იკარგება წარმოდგენა სულიერი გაჯანსაღების აუცილებლობაზე, დაავადებასთან წარმატებული ბრძოლისა სულიერი გაჯანსაღების ფონზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ავადმყოფის განკურნება წამებში არ ხდება და ის ჯერ კიდევ საჭიროებს გარკვეულ დროს გაჯანსაღებისათვის და სიცოცხლეში დაშვებული ცოდვების მონანიებისათვის. არსებობს მოსაზრება, რომ ფიზიკური სხეული სულისათვის წარმოდგენს ტანდარსს და თუ მასზე ზეჯარბი მზრუნველობა ითვლება საძრახისად, მაშინ საძრახისად უნდა ჩაითვალოს მისი სრული უკუღვედყოფაც, რაც ტანდარსს რღვევითა და დაღუპვით ემუქრება. ავადმყოფი ადამიანი არ წარმოდგენს განყენებულ ცნებას, ის აბსტრაქტული სიმპტომებისაგან შედგება. არის ცოცხალი არსება, სამშინველ-სულიერი და ტანჯული. მისი ხორციელ-სულიერი შემადგენლობა ინდივიდუალურია და თვისობრივად მრავალფეროვნად გამოიყურება დაავადების კლინიკური მიმდინარეობის დროს. ექიმთა ვალდებულება ავადმყოფს სიყვარულით მოეპყროს და თუ ის ამას არ აკეთებს, იკარგება გაჯანსაღების მთავარი ძალა „სულისა“ და „გულის“ ერთიანობის სახით. და თუ ეს მოხდა, მაშინ ყველაფერი იწყებს გადაგვარებას და საექიმო პრაქტი-

კა გადაიქცევა ავადმყოფისთვის განყენებულ დარგად, უბრალოდ ავადმყოფის „მიყვანად“ ექიმთან და დაავადების აბსტრაქტულ ცნებად, მედიკამენტამდე. მხოლოდ სულიერებისა და ფიზიკური სხეულის ერთმთლიანობით უნდა შეაფასოს ექიმმა დაავადების სახეობა, განსაზღვროს მისი კლინიკური არსი და მიზანდასახულად უმკურნალოს მას. სწორედ ამისთვის არის მოწოდებული ექიმის პროფესიული სინდისი და მოვალეობა. თანამედროვე რელიგიურ სწავლებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჯანმრთელობის შენარჩუნების რეკომენდაციები, რაც გადაიქცა ახალი საუკუნის აუცილებელ მოთხოვნილებად.

ოკულტიზმის მოძღვრება გარკვეულწილად ითვალისწინებს ჯანსა-



დი რჩევების განხორციელებას, რაც დაკავშირებულია ფიზიკური სხეულის ბიოენერგეტიკულ ცვლასთან. ეს, თავის მხრივ წარმოადგენს ვალეოლოგიური (მეცნიერება ჯანმრთელობის შესახებ) კვლევის ამოცანას, რათა შემუშავდეს კონკრეტული ადამიანისათვის ბიოენერჯის გააქტიურების მეთოდი, რაც ხელს შეუწყობს გაჯანსაღების პროცესს და სიცოცხლის გახანგრძლივებას. ბიოენერჯის „გააქტიურების შესაძლებლობების“ შესწავნა არ წარმოადგენს შემთხვევითობას, რადგან თეოსოფიური სწავლებით ადამიანი და „კოსმიური სულები“ ერთმანეთში ურთიერთდამოკიდებულების პროცესში იმყოფებიან. ე. ი. ნოოსფერო და დედამიწა ქმნის ახალ „მეექვსე“ ზეადამიანურ რასას ოკულტურ-ექსტრასენსორული შესაძლებლობების გამოვლინებით. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ არამატერიალურ დაავადებას, არამედ მუსიკალურ ფონზე მასაჟის ჩატარებას, მედიტაციას, იოგას. აგრეთვე გამოიყენება პირდაპირი შთაგონებისა და აზროვნებაში შეჭრის მეთოდები: „სუვესტოპედია“ და „პიროვნების ნეირო-ლინგვისტური პროგნოზირება“. გასული საუკუნის ზოგიერთი

მეცნიერი მრავალი საშიში დაავადების გამოწვევად მიზეზად მიიჩნევს ე. წ. „კოსმიურ ვირუს-ქლამიდიებს“, რაც თვისობრივად არღვევს პლანეტარულ წონასწორობას, პარმონიას და შესაბამისად შეაქვს მიზნობრივი ცვლილებები პიროვნების სამსაწყისში (ღმერთი, ძე და სულიწმიდა): ფიზიკურ სხეულში, სამშინველში და სულში.

როგორც მეცნიერებას, ისე რელიგიას თავისი მოქმედების დამოუკიდებელი ასპარეზი გააჩნია. ერთი მატერიალური სამყაროს კვლევისაკენ არის მიმართული, მეორე კი სულიერი სამყაროს ჭვრეტისაკენ არის ორიენტირებული. რელიგიის სიცოცხლის ხეა, მეცნიერება-შემეცნების ხე, რელიგია ღმერთთან კავშირია, მეცნიერება კი -ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროსთან. ეკლესიური სწავლებით, ადამიანის მიწიერი ცხოვრების დასასრული მისი მარადიული ცხოვრების დასაწყისად არის მიჩნეული.

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობას დამუშავებული და დახურული აქვს მხოლოდ მისი რეგიონისათვის დამახასიათებელი რელიგიური აზროვნება. აღმოსავლური მრედიციის შეხედულებების თვალსაზრისით ავადმყოფის ორგანიზმში არსებული არადაბალანსებული ენერჯები უმადლესი სხეულებიდან თანმიმდევრობით განიცდის ტრანსფორმირებას ქვედა სხეულებში, რაც საბოლოოდ იწვევს ფიზიკური სხეულის დაავადებას. სხეულის დაზიანებული სისტემის ჩაკრაში გრივალეები არასინქრონულად ბრუნდებიან, რაც ხელს უწყობს პათოლოგიის განვითარებას. ტკივილი-ეს ორგანიზმის შიდა არსებული მექანიზმია, რომელიც გამოსცემს სიგნალს-მოძებნოს გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან.

ტკივილი გვეუბნება: „ორგანიზმში რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს“ და მოგვიწოდებს აქტიური მოქმედების ჩართვაში. ადამიანის ფიზიკური სხეულის შიგნით ცეცხლი-სიყვარულის ძალა მოქმედებს და სიცოცხლე გრძელდება მანამდე, სანამ ეს ცეცხლი წვას განიცდის. ადამიანი ცეცხლის გარეშე, როგორც კოცონი ფერფლად იქცევა. მაგრამ, ეს უბედურება არ არის, ფერფლიდან მას შეუძლია გადაიქცეს, როგორც ძლიერ და ლამაზ ფენიქს-ფრინველად. მოძღვრება „ცეცხლოვან სამყაროზე“ უნდა ისწავლებოდეს ბავშვთა ასაკიდან.

თანახმად თანამედროვე მსოფლმხედველობისა, ჯანმრთელობა უნ-

და განვიხილოთ, როგორც სხეულის მედიცინისა და სულის მედიცინის დიალექტიკური ერთიანობა. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავისთავად წარმოადგენს, ერთის მხრივ ფიზიკურ სხეულს, მეორეს მხრივ გონებას, სულს, ანუ ჩვენ ემოციებს, გძნობებს, უპირატესად კი ქვეცნობიერებას.

თანამედროვე საუკუნის ფილოსოფიური იდეოლოგიური პრინციპები უპირატესად ემყარება აღმოსავლური რელიგიების სწავლებას. საერთოდ მეცნიერება წარმოიშვა ანიმიზმისა (ლათ. ანიმა ნიშნავს სულს. ტერმინი ეფუძნება პირველყოფილ ხალხთა რწმენას, რომ ყველა საგანს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სული) და ეკულტიზმის (ლათ. – ოცულებს ნიშნავს ფარულს, საიდუმლოს, რისგანაც წარმოიშვა მისტიკური მოძღვრების საერთო სახელწოდება) ცნებების ურთიერთშერწყმას. ეკულტიზმის მიმდევრები თვლიან, რომ ბუნებაში არსებობენ ზებუნებრივი იდუმალი ძალები, რომლებთანაც ადამიანებს შეუძლიათ ურთიერთობა დაამყარონ მაგიური ზემოქმედებით, ჯადოსნობით და ა.შ. აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, რომ დედამიწა, როგორც სხვა არსებული პლანეტები შედგება სამი სამყაროსაგან, რომელთაგან პირველი-ფიზიკური სხეულია, მეორე – ფაქიზი სხეულია, ე. წ. ასტრალური (გრძნობების, სურვილების და ემოციების სამყარო) და მესამე – აზროვნების სამყარო ანუ, ცეცხლოვანი, როგორც მას უწოდებენ. სამივე სამყარო ერთმანეთში ერთმუშტად არის შეკრული (კონცენტრირებული, გაერთიანებული) და წარმოქმნის ე. წ. თეთრ სხეულს, რომელიც თავისი ფორმით ემსგავსება რუსულ საბავშვო სათამაშოს – „მატიოშკას“. აქედან გამომდინარე, ჩვენი პლანეტა (დედამიწა) შედგენილია მკვრივი ფიზიკური მატერიისაგან, რომელიც სამყაროში ყველა სამივე სფერო ერთმთლიანობის მექანიზმით მოქმედებს და ამასთან, პლანეტის მოსახლეობა ერთმანეთს ვერ ხედავს და შეიგრძნობს. ისინი ერთი სამყაროდან გადადიან მეორეში, ერთში კვდებიან, მეორეში კი იბადებიან და ა.შ. ადამიანს ყოველ კონკრეტულ სამყაროში თავისი შესაბამისი სხეული გააჩნია და ერთი მდგომარეობიდან გადადის მეორეში. ასე მაგალითად, ადამიანის ფაქიზ სხეულს ძილის დროს შეუძლია მოსცილდეს ფიზიკურ სხეულს და გადავიდეს ასტრალურ სამყაროში. ანალოგიური მოვლენა შეიძლება განვითარდეს ადამიანის კლინიკური სიკვდილის პრო-

ცესში. ძველი ბერძნები ფიზიკურ სხეულს თვლიდა სულის ტანად, ხოლო შუა საუკუნეებში მას სულის საპყრობილედაც კი მიიჩნევდნენ.

ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს ბიოენერგეტიკული რესურსების მატების ფონზე. დედამიწაზე ყველა ცოცხალი არსების ცხოველმყოფელების ძირითადი პირობაა – გარეთა გარემოდან ენერჯის შთანთქმის უნარი, მისი აკუმულირების შესაძლებლობა და ცხოველმყოფელების პროცესებისთვის გამოყენება. რამდენადაც მაღალია გამოყენებისათვის მისაწვდომი ბიოენერგეტიკული რესურსები, მით უფრო სიცოცხლისუნარიანია ორგანიზმი, რადგან სოცოცხლე ნარჩუნდება ენერჯის ხარჯვით.

ადამიანის ცხოვრება მეგაპოლისში, მის ორგანიზმზე დიდ გავლენას ახდენს, რაც ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაუარესებას. ასე მაგალითად, ავტომობილი (შესაბამისად, მისი გამონაბოლქვი), კომპიუტერი, ტელევიზორი, მობილური ტელეფონი, ვიდეო, ქსეროქსი, ფაქსი, პრინტერი, სკანერი, მტვერსასრუტი, მაცივარი (შესაბამისი გამოსხივებით), უამრავი საოჯახო ტექნიკა, ათასგვარი სადეზაინო, ლაქი და ა.შ. – ყოველივე ის, რითაც გარემოცულია თანამედროვე ადამიანი, გამოყოფს ქიმიურ ნივთიერებებს. ყოველი მათგანი, ცალკე აღებული, მაგნიუმი, ხოლო ყველა ერთად – საშიხეულია. ეს კოქტეილი ყველა ტექნიკური ორგანიზმისათვის დამღუპველია. სწორედ მისი ზემოქმედების შედეგია მუდმივი დაღლილობის შეგრძნება, მოთენთილობა, თავის ხშირი ტკივილი, გაღიზიანება.

უძველესი დროიდანვე მიჩნდათ, რომ ციური სხეულები, მათი ურთიერთგანლაგება ძლიერ გავლენას ახდენდა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. განვლილმა დრომ დაადასტურა, რომ ეს წარმოდგენა არც თუ უსაფუძვლოა. განსაკუთრებით ძლიერად ზემოქმედებს ემოციურ და ინსტიქტურ სფეროზე მზისა და მთვარის სხივები. მათ შეუძლიათ აგრეთვე მოაღუნონ კიდევ ადამიანი და ენერჯითაც აავსონ. მათ ადამიანის ქცევის მართვაც შეუძლიათ. მთვარე მართავს ოკეანეებსა და ზღვებს, მათ მობრუნებს. რადგან ადამიანის ორგანიზმი 80 %-ით წყლისაგან შედგება, არ არის გასაკვირი მთვარის გავლენა ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებზე.

კაცობრიობამ ადამიანის ორგანიზმზე და ფსიქიკაზე ზემოქმედე-

ბისა და მკურნალობის უდიდესი გამოცდილება დააგროვა. ამასთანავე, ადამიანის ორგანიზმს განიხილავს, როგორც ერთმთლიან სისტემას, რომელიც უწყვეტ რეჟიმში დაკავშირებულია ბუნებასთან, დედამიწასთან და კოსმოსთან. დაავადებების უმეტესი ნაწილი იკურნებოდა იმ სამკურნალო საშუალებებით, რაც მხოლოდ მზადდებოდა ბალახებითა და ბუნებრივი ნივთიერებებით. საქართველოს კი გააჩნია უმდიდრესი და უსამართლოდ მივიწყებული მედიკიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა ნიჭიერმა წინაპრებმა.

ადამიანის ბუნების არსი იდუმალებით მოცულია. ის მრავალი მეცნიერების შესწავლის საგანი გახდა, ისეთებისა, როგორიცაა ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ანთროპოლოგია, მედიცინა და ა. შ.), ისე საზოგადოებრივი (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ისტორია, ფილოსოფია და სხვა) დარგები. ფაქტობრივად კი-ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები უპირატესად მონოპოლიზებულია ერთი მეცნიერებით-მედიცინით, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს მეცნიერებას ადამიანის დაავადებათა შესახებ – „ადამიანოპათოლოგიას“ და არა ინდივიდუალური ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და მისი განმტკიცების მოძღვრებას. ჯანმრთელობა კი უნდა უნდა იყოს განხილული, როგორც ადამიანის სხეულის მედიცინისა და სულის მედიცინის დიალექტიკური ერთიანობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავისთავად წარმოადგენს, ერთის მხრივ ფიზიკურ სხეულს, მეორეს მხრივ გონებას, სულს, ანუ ჩვენ ემოციებს, გრძნობებს, უპირატესად კი ქვეცნობიერებას.

დაწყებული XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ძლიერდება მეცნიერთა ინტერესი ჯანმრთელობის პრობლემისადმი, კეთდება მკვლევარები, რათა მას მიეცეს სათანადო განსაზღვრა, მაგრამ არცერთი მათგანი არ აღმოჩნდა წარმატებული. ჯანმრთელობა – ეს მოვლენაა, რომლის საწყისად მიჩნეულია ღრმა, დიალექტიკურად ურთიერთსაპირისპირო ადამიანის ორგანიზმის არსი, რომელშიც მორფოლოგიური სტრუქტურებისა და ფუნქციის ოპტიმალური თანაფარდობა უზრუნველყოფს ადამიანის ფსიქიკურ, ფიზიკურ და სოციალურ აქტივობას. ამგვარი არსი ვლინდება დაავადების დროსაც, ერთდროულად ან ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვეითდება ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული შესაძლებლობები. რასაც მიყავს მის სრულ დაკარგვამდე.





მედიცინა მნიშვნელოვანია არამარტო გნოსეოლოგიური გზავნილებით: მოვლენის შემეცნებიდან მის დედაარსამდე, არამედ მიღებული დასკვნით— მოვლენის შემეცნების მცდელობიდან ადამიანმა უნდა მოახდინოს ზემოქმედება გამომწვევ ფაქტორებზე, ოპტიმალურად მართოს ორგანიზმში მიმდინარე არსებული დაცვით – კომპენსატორული მექანიზმები და აქტიურად შეცვალოს ფარულად მიმდინარე გაჯანსაღების ფიზიოლოგიური პროცესები.

დაავადება არ უნდა იყოს განხილული ჯანმრთელობისაგან იზოლირებულ მდგომარეობად. ნებისმიერი დაავადება იწყება და მიმდინარეობს ორგანიზმში არამხოლოდ „რღვევით“ პროცესებით (პათოგენეზი), არამედ ცალკეულ მოქმედებათა სანოგენეზური მექანიზმების შესუსტებითა და მათი კომპლექსების დეზორგანიზაციით, რაც განაპირობებს ეგრეთ წოდებულ დაავადებისწინა მდგომარეობას. ე. ი. „დაავადებისწინა მდგომარეობა“ – გარკვეული სანოგენეზური მექანიზმების ფუნქციური აქტივობის დაქვეითება ან მათი კომპლექსების დეზორგანიზაციაა, რასაც მიყვავართ თვითრეგულაციის დარღვევასთან და ორგანიზმის რეზისტენტობის შესუსტებასთან.

„ჯანმრთელობა“ – ეს ორგანიზმის სანოგენეზური მექანიზმების სისტემის საკმარისი ფუნქციური აქტიობაა, რომელიც გარეთა გარემოს კონკრეტულ პირობებში უზრუნველყოფს მის ოპტიმალურ ცხოველმოქმედებას. მრავალი მკვლევარი ჯანმრთელობას განიხილავს, როგორც ორგანიზმის უნარს მუდმივად შეეგუოს გარეთა გარემოს ცვალებად პირობებს-ფიზიკურსა და სოციალურს. როგორც ტ. სპენსერი აღნიშნავდა: „ჩვენ, ყველაზე ნაკლები ვიცით საკუთარ ჯანმრთელობაზე. ჩვენი ცხოვრებისათვის კი – ყველაზე აუცილებელია ვიყოთ ჯანმრთელი“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრით ჯანმრთელობა არის ფიზიკური, სულიერი, სექსუალური და სოციალური კეთილდღეობის სრული მდგომარეობა და უნარი შეეგუოს მუდმივად ცვალებად გარე და შიდა გარემოს პირობებში. ამასთანავე, ბუნებრივად მიმდინარეობდეს დაბერების პროცესი და არ ჰქონდეს დაავადებები და ფიზიკური დეფექტები.

ადამიანის გაჯანსაღებაზე ზრუნვა სანოლოგიის (სამედიცინო ვალეოლოგიის) მიზანს წარმოადგენს, იმ მოძღვრების თეორიულ-პრაქტიკულ განვითარებას, რომელიც შეისწავლის ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორულ მექანიზმების ამოქმედებას გაჯანსაღების ალღენით პროცესში, დაავადების საწყისი პერიოდთან გამოჯანმრთელებამდე თანამედროვე შეხედულება ადამიანის ფუნქციურ მოწყობილობაზე უფლებას გვაძლევს ჯანმრთელობა განვიხილოთ, როგორც გარემომცველ გარემოსთან ადამიანის ჰარმონიული ზემოქმედების შედეგი, რაც პირობადებულია ინფორმაციული, ენერგეტიკული და ნივთიერებათა ცვლის ფუნქციური ურთიერთხმოქმედებით.

ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა უნდა იყოს სახელმწიფოს ზრუნვის საგანი. ჯანდაცვის სისტემა და მედიცინა უპირატესად დაკავებულია დაავადებულთა პრობლემებით. პრაქტიკულ მედიცინას სჭირდება ახალი მიმართულების ძიება— მართოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და ამით შეინარჩუნოს ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური ძლიერება. თანამედროვე ექიმის მოვალეობაა დაეხმაროს ავადმყოფს, მის ინტერესებში არ შედის ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება. მედიცინა მთლიანად დაკავებულია და ვითარდება დაავადებათა პრობლემებით. ჯანდაცვის სისტემამ უნდა შეიცვალოს თავისი სტრატეგიული მიდგომა, ქვეყანა

დაინტერესდეს ადამიანთა ჯანმრთელობით, თავიდან აიცილოს მთელი რიგი დაავადებები. სახელმწიფოს დევიზი უნდა იყოს „ადამიანის ჯანმრთელობიდან ერის აღორძინებად“. ექიმმა უნდა განსაზღვროს „ჯანმრთელობის უსაფრთხო ზონა“, შექმნას „ჯანმრთელი ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მოდელი“, თვალყური ადევნოს ადამიანთა ჯანმრთელობას, რისგან ირღვევა და რისგან უმჯობესდება მათი ჯანმრთელობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია იმ ფსიქო-ფიზიკურ მოდელზე, რომელიც დაფუძნებულია როგორც მეცნიერების მიღწევებთან, ასევე ლეითური წესრიგის დამყარების ხარისხზე. როგორც მეცნიერებას, ისე რელიგიას თავისი მოქმედების დამოუკიდებელი ასპარეზი გააჩნია. ერთი მატერიალური სამყაროს კვლევისაკენ არის მიმართული, მეორე კი სულიერი სამყაროს ჭვრეტისაკენ არის ორიენტირებული. რელიგია-სიცოცხლის ხეა, მეცნიერება-შემეცნების ხე, რელიგია ღმერთთან კავშირია, მეცნიერება-ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროსთან. ჯანმრთელობის მეცნიერებას, როგორც არის ვალეოლოგია, მრავალიმეცნიერი ისე უყურებს, როგორც XX საუკუნის რელიგიას, ანუ სულიერი აგრესიის მესამე ტალღას. გასაკვირი არც ის არის, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ XX საუკუნის ბოლოს წამოაყენა მედიცინის განვითარების ინტერნალური კონცეფცია, რომლის მთავარი იდეა: „XXI საუკუნის მედიცინა დაცვით-მოგერიებითი პოზიციიდან უნდა გადავიდეს სოციალურ-კონსტრუქციულზე, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და აქტიურ დღეგრძელობას“. მაშ, პრინციპულად უნდა შეიცვალოს ექიმის როლიც: „დაავადების მკურნალისგან“ ის „ჯანმრთელობის კონსტრუქტორად“ უნდა იქცეს, ხოლო „დაავადებათა მედიცინა“ – „ჯანმრთელობის მედიცინად“ გარდაიქმნეს. სამწუხაროდ, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ჯანმრთელობა არ განიხილებოდა სამედიცინო მეცნიერების პრეროგატივად. ორთოდოქსული (კლასიკური) მედიცინა ყოველთვის დაკავებული იყო ავადმყოფი ადამიანების მკურნალობით. ამასთანავე, დაავადების მიმომდგომარეობიდან ადამიანების გამოყვანა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას ჯანმრთელობა დაუბრუნდა, ე. ი. სიჯანსაღის თვალსაზრისით საუკეთესო მდგომარეობაშია და ნებავს მდგომარეობაშია და ხალისიანად ასრულებს თავის მოვალეობებს, რაც, ცხ-

ოვრებამ(პირადულმა და საზოგადოებრივმა) დააკისრა. თანამედროვე მედიცინის პათოცენტრისტულ შეხედულებათა კვალზე პრაქტიკოსი ექიმი თავისი პროფესიული განათლებით დიაგნოსტიკის პროცესში კონცენტრაციას ახდენს მხოლოდ დაავადებული ადამიანის ორგანულ პათოლოგიაზე. ასე ცალმხრივი ქმედებით მკურნალი კარგავს დაავადების სრული კლინიკური გამოვლენების რეალური სურათის აღქმას, რითაც შეუძლია დაადგინოს მოცემული დროის რეჟიმში იმ პაციენტების ჯანმრთელობის ხარისხი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ჯანმრთელები იყვნენ. მხედველობაში მისაღები ისიც, რომ დაავადების კლინიკური ნიშნების გამოვლენებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს აბსოლუტურ ჯანმრთელობას, რადგან ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის არსებობს მესამე (გარდამავალი) მდგომარეობა, როცა ადამიანი არც ჯანმრთელია და არც ავადმყოფი. ექიმები ჯანმრთელობის მესამე მდგომარეობით, როგორც წესი, არ ინტერესდებიან, რადგან ვერ ფლობენ იმ მიზანდასახულ სადიაგნოსტიკო ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც საჭიროა ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამას ისიც ემატება, რომ ექიმს საერთოდ არ აინტერესებს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებანი, ისევე, როგორც ჯანმრთელ ადამიანს – ექიმის პრაქტიკული შემოქმედებითი მოღვაწეობა. ადამიანისა და ექიმის ურთიერთდამოკიდებულებას საინტერესოდ განსაზღვრავს კარლ მარქსი: „ადამიანის სხეული ბუნებით მოკვდავია. ამიტომ დაავადებები გარდაუვალია. რატომ მაინცდამაინც, მხოლოდ მაშინ მიმართავს ექიმს ადამიანი, როცა ის დაავადებულია, და არა მაშინ, როცა ჯანმრთელია? იმიტომ, რომ არამარტო დაავადება, არამედ თვით ექიმიც არის ბოროტება. მუდმივი საექიმო მუშაობა სიცოცხლეს ბოროტად აქცევს, ხოლო ადამიანის სხეულს – სავარჯიშო ობიექტად.“

ადამიანთა უმრავლესობა ჯანმრთელი იბადება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხშირად ჩვენი ორგანიზმის ბუნებრივ ძახილს არ ვუშენთ, ყურადღებას არ ვაქცევთ მის პირველსავე განგაშს – კლინიკურ სიმპტომებს – არადა, ამგვარად მოქცევისას მოსალოდნელი დაავადება იოლად და დროულად აღიკვეთებოდა.

კლასიკურმა სახელმწიფოებრივმა მედიცინამ და ჯანდაცვის სისტემამ, მიუხედავად იმისა, რომ მიაღ-

წიეს უმაღლეს წარმატებებს მედიცინისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა სფეროში, ვერაფერი გააკეთეს ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით. სახელმწიფოებრივი მედიცინა ყოველთვის იყო და არის მხოლოდ სამკურნალო მედიცინა, „ჯანდაცვა“ კი არასდროს გამხდარა მოსახლეობის ჯანდაცვის ორგანიზატორად. ჯანმრთელობის სისტემის დაწესებულებები დღესაც უპირატესად წარმოდგენილია კლინიკური მედიცინის ორგანიზატორებად. მთავრობამ დღემდე ვერ შეიგნო მოსახლეობის ჯანმრთელობის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკურ და სულიერ განვითარებაში. ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგნოზირება კი მეცნიერული კვლევის გაუშლელად შეუძლებელია. მაშ, მედიცინა გადაიქცა ვიწროსპეციალიზებულ სამკურნალო დარგად და თავისი არსით მოგვევლინა მეცნიერებად, რომელიც დაავადებაზეა ორიენტირებული და ყველაზე ნაკლებად კი – ჯანმრთელობაზე.

დღეს მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების მხრივ შეიქმნა მეტად საშიში და პარადოქსული მდგომარეობა: რაც უფრო მეტად განვითარდა მედიცინა, მით უფრო მეტად დაგრძელდა(თანამედროვე ნოზოლოგიური ნომენკლატურის შესაბამისად) პაციენტებისათვის დასმული დიაგნოზების სია. მან შეიძლება მიაღწიოს 23 ათასამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს საშუალოდ უნდა სჭირდეს 20-ზე მეტი დაავადება. ამას ისიც უნდა დავამატო, რომ ვიწრო სპეციალისტები რეგულარულად იგონებენ ახალ სინდრომებს, პათოლოგიებს და დაავადებებს. ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ ასეთი სურათი იხატება. ამიტომ ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს, დაიცვას ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროულად ჩართვით შეინარჩუნოს და განიმტკიცოს ჯანმრთელობა.

ჯანდაცვის გაუთავებელი რეფორმები ადამიანის ჯანმრთელობას კი არ ემსახურება, არამედ ხელს უწყობს ავადმყოფთა რაოდენობის ზრდასა და დემოგრაფიული ვითარების გაუარესებას, ჯანდაცვის სისტემასა და სააფთიაქო ქსელში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას დაავადებულთა ხარჯზე. ამას ისიც ემატება, რომ იგი კერძო სტრუქტურებშია გადასული, სამინისტროს მხოლოდ სადამსჯელო ფუნქციონალარნა და საერთოდ ვერ აკონტრო-

ლებს ჯანდაცვას. შექმნილია ელიტარული კლინიკები, მათზე წამდა-უწუმ ლაპარაკობენ ტელევიზორში, და რეკლამას უკეთებენ ოპერაციებს, სხვადასხვა დაავადების მკურნალობას და არავინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს დაავადება არ განხდეს. რატომ მიდის ავადმყოფი ოპერაციამდე? რატომ დაავადდა ამა თუ იმ დაავადებით? რატომაა მოშლილი პროფილაქტიკური მედიცინა, რაიონებში ხომ საერთოდ თითქმის ჩაჯვრდნილია პრევენცია და იქ სპეციალისტების დიდი დეფიციტია... საყოველთაო დაზღვევის მოდელი ძირითადად გადმოღებულია გერმანიიდან. კი, მაგრამ ჩვენ გერმანიის დონეზე ვართ? ჯანდაცვა რას უნდა ცდილობდეს? უნდა იცავდეს სიცოცხლეს. მაშ, ესაა სიცოცხლის დაზღვევა, მაგრამ ეს დაზღვევა არის უეფექტო და მიუღებელი, თუმცა, ეს რომ არ დაენერგათ, სამკურნალო დაწესებულებები გაკოტრდებოდნენ. აქ საუბარია მოსახლეობის მომსახურებაზე, ეკონომიკურად განადგურებულ, ვალების მქონე საავადმყოფოებზე, მილიონობით უმუშევარზე. ექიმი დატოვებს გამოუმუშავებაზე და, თუ მას ავადმყოფი არ ეყოლა, ის ან მოიხსნება, ან უხელფასოდ დარჩება. ექიმი რითაა დაინტერესებული? ავადმყოფით და თუ, ავადმყოფი არ ეყოლა, ტოვებს საავადმყოფოს. რატომაა ამდენი სიკვდილიანობა? იმიტომ, რომ რეფორმა უვარგისია. ჯანდაცვის სამინისტრო არაფერზე პასუხს არ აგებს. ამ დროს სისტემა როგორი უნდა იყოს? ყოველი ავადმყოფის გადარჩენაზე უნდა ზრუნავდეს. საავადმყოფოები ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული, მართვა და კონტროლი ზემოდან ხდებოდეს. აქ კი რა ხდება? ჯანდაცვის სისტემა ისეთივე ბიზნესად აქციეს, როგორც კარტოფილისა და კომბოსტოს ბიზნესი. ისიც მოგებაზე მუშაობს და, რაც მეტი ადამიანი გახდება ავად, ბიზნესი მით უფრო მოიგებს. ადრე სა-მედიცინო ბიზნესი სახელმწიფოს იყო და ფულს თავის მოსახლეობას ახმარდა, რადგან სახელმწიფო ხალხისა იყო. ამრიგად, ჯანდაცვის სისტემა რეალურად რეფორმის გარეშე დარჩა და მისი ინტერესი გახდა ავადმყოფების რაოდენობის პროგრესული მატება. ამას კი უზარმაზარი ფული შემოაქვს მედიცინაში. ეს თანხა აკლდება ხალხს და იღეპება კლინიკების მეპატრონეების ჯიბეებში. ამათ წილში ჰყავთ ის ადამიანები, ვინც მათ მხარს უჭერს. ჯანდაცვა მოითხოვს რეალურ რეფორმას, უნდა გაიზარდოს პრევენცია და პროფილაქტიკური მედიცინა. თუ ადამიანი დაავად-



და და საავადმყოფოში მოხვდა, სწორედ ეს უნდა გახდეს „განგაშის“ მიზეზი. რეფორმა გასატარებელი პოლიკლინიკებსა და სასწრაფო დახმარების ცენტრებში და, რაც მთავარია, თავად სამინისტროში, რადგან სახელმწიფოებრივმა ჯანდაცვამ ამოწურა თავისი სისტემური შესაძლებლობები, ვერ უზრუნველყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და პრინციპულად მოითხოვა ამ სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟი დამოუკიდებელი სამსახურების შექმნით ცალკე – ავადმყოფებისა და ცალკე ჯანმრთელი ადამიანებისათვის. აქედან გამომდინარე, ვალეოლოგია უნდა განვიხილოთ, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნებისა და ოჯახის

კეთილდღეობას, გაზრდის ქვეყნის შრომით პოტენციალს, კულტურის ღონეს და ა.შ.  
ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა მიიყვანოს ნებისმიერი ადამიანი, ერი და კაცობრიობა ჯანმრთელობასთან – არის ადამიანის შეცვლილი დამოკიდებულება თავისი ჯანმრთელობის მიმართ. მან თვითონვე უნდა გააკეთოს არჩევანი: ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა. ადამიანს, თავისი ჯანმრთელობის მიმართ უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული დადებითი მოტივაციის, რადგან მხოლოდ ჯანმრთელ პიროვნებას შეუძლია მიაღწიოს მოთხოვნილებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურს – თვითრეალიზაციას.  
ავადმყოფ ადამიანს ხშირ შემთხვევაში აწუხებს ფიქრები: ნუთუ

სასურველი არ არის სიკვდილი, ვიდრე სიცოცხლე, შემდგარი მხოლოდ სიკვდილის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებით? ნუთუ სიცოცხლისთვის აგრეთვე დამახასიათებელი არ არის თავისუფალი მოძრაობა? რა არის დაავადება, თუ არა შებოჭილი თავის თავისუფლებაში სიცოცხლე? დაე სიცოცხლე კვდება, მაგრამ სიკვდილი არ უნდა ცოცხლობდეს“. აქედან გამომდინარეობს ჯანმრთელობის საინტერესო განსაზღვრა: ჯანმრთელობა – ეს არის თავისუფლებაში მყოფი ადამიანის შეუზღუდავი სიცოცხლე.

*იბორ ღოლიძე,  
მედიცინის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი*

ანონსი ANONS



**International Journal  
OF  
PEDIATRICS**

2021  
TBILISI



Editor-in-Chief  
**GEORGE CHAKHUNASHVILI**  
MD, PhD, DSc,  
Professor, Academician  
(Georgia)



Editor  
**FUYONG JIAO**  
MD Prof and Head Children's  
Hospital of Shaanxi Provincial  
People's Hospital of Xi'an Jiaotong  
University, The Society of  
Promotion Children's Health of  
Shaanxi Province, Executive  
Councilor of IEPGAN  
(CHINA)

**THE SOCIAL PEDIATRIC PROTECTION FUND**  
Date of Foundation: 30.09.1988  
Date and Number Of Registration: #147 9.10. 1998w  
Address: Tbilisi, Ljublana 21, 0154 Tel.: 995 59337154  
E-mail: euegego@yahoo.com; info@spptf.info Contact: Prof.  
George Chakhunashvili Job of Contact: Chairman of The Board Branches of Fund:  
Mtkheta; Kutaisi; Gori; Abashu.; Batumi.; Sagarejo; Gurjani; Telavi; Tskhaturi;  
Zugdidi; Territory of Operation:  
Georgia (eu) Aim Social Pediatric Protection Fund is to execute programs of social  
pediatric development and maintain rights and healthcare of Children, Mothers and  
Adolescents. Fund has great organizational experience, technical equipment and skilled  
members.  
Most of the members are Professors at TSMU, who have clinical and educational  
experience of 15-20 years and were one of the first. Before the independence, to read  
lectures about congenital infections, sexually transmitted diseases and prevention of  
HIV. Fund is also cooperating with physicians, psychologists, Lawyer (who operate in  
field of social assistance) and Public figures. By the joint forces of all the people above  
said SPFPF is able to hold free medical examinations, juridical consultations, charity  
events, informational lectures about healthy way of life, congenital infection, HIV,  
Social subjects and etc.  
Since 1997 more than 93.000 Children and Hundreds of older people have been  
medically for free in the framework of charity events. Before Independence, The active  
members of SPFPF and their consortium in 1980-1990 examined above 124 000  
Children, all over Georgia.

**1. Shaanxi International Medical Exchange Promotion Association (SIMEA)**  
Date of establishment: June 1994  
Registration number: 51610000520157511D  
Address: No. 22, Huancheng East Road, Xincheng District, Xi'an City, Shaanxi  
Province  
E-mail: 3105089948@qq.com  
Contact: Fuyong Jiao  
SIMEA was established in 1994 with the approval of the Shaanxi Provincial  
Department of Civil Affairs. It is a first-level social organization under the charge of  
the Shaanxi Provincial Health and Family Planning Commission. The province of  
"seeking well-being" will give full play to the advantages and characteristics of the  
gathering of experts, a wide range of disciplines, and a sound network, aiming to build  
a platform for international medical exchanges and mutual learning.

**2. Children's Hospital of Shaanxi Provincial People's Hospital**  
Date of establishment: 1950  
Address: No. 256, Youyi West Road, Beilin District, Shaanxi Province  
Contact: Fuyong Jiao  
Since its establishment in 1950, the Children's Hospital of Shaanxi Provincial  
People's Hospital has experienced more than 70 years of development. It is now the  
Children's Hospital of the Third Affiliated Hospital of Xi'an Jiaotong University. It is a  
children's hospital integrating medical treatment, teaching, and scientific research.  
Shaanxi Province Kawasaki Disease Diagnosis and Treatment Center, Shaanxi Province  
Pediatrics Clinical Medicine Research Center, National Drug Research Institute  
(Children Neuronomedicine Specialty), Shanghai Cooperation Organization Hospital  
Cooperative Alliance International Exchange Center, and China Kawasaki Disease  
Website (www.chinakd.org) have been established. ), European Center for Traditional  
Chinese Medicine (Prague). Insist on innovating the "send out and invite in"  
communication methods for academic exchanges and scientific research cooperation.

**3. The Institution of Shaanxi Province Clinical Medicine Demonstration International  
Science and Technology Cooperation**  
Established time: 2020  
Address: No. 256, Youyi West Road, Beilin District, Xi'an City, Shaanxi Province  
Contact: Fuyong Jiao  
E-mail: 3105089948@qq.com  
The Shaanxi Provincial Clinical Medicine Demonstration International Science and  
Technology Cooperation Base was established in 2020. It is an organization approved  
by the Shaanxi Provincial Department of Science and Technology to promote  
international cooperation and exchanges in clinical medicine and guide the province to  
carry out international cooperation and exchanges in clinical medicine. The cooperation  
base is set up in Shaanxi Provincial People's Hospital. Actively expand foreign medical  
resources, and provide a lasting communication channel for domestic medical and  
health institutions and public health service units to learn international advanced  
management experience and strengthen the training of talent teams.

PREFACE

Children is the future of the world and hope, but there are a lot of threats and challenges of the infection and no infection disease to children living, especially in the current outbreak of COVID - 19 epidemic pandemic in the world we urgent need to improve the level of the diagnosis and treatment and technology, adapt to and meet the growing exchange of learning medical staff status and needs, better for children's growth and developing, To create a safe and healthy growth environment for children, and to provide a platform for medical staff to learn,

strengthen medical academic exchanges and publish academic articles / papers, Prof G, President of Georgia Pediatric Cardiology Society and Professor Fuyong Jiao of Children's Hospital of Shaanxi Provincial People's Hospital (the Third Affiliated Hospital of Xi'an Jiaotong University) have discussed for more times. It was decided to register an international journal of paediatrics in Georgia, which is open and peer review. We hope that With your great support and kind help, we hope to provide all colleagues a high quality international journal of paediatrics.

George Chakhunashvili GEORGIA and Fuyong Jiao CHINA

# ტოპტი

აზითრომიცინი

საიზომო ნახიზომიხი მახიზი ღოზიხიზითა  
და სანბიძიზი ჯოჯიხით!



პისურვებთ ჯანმრთელოზას და სულიერ სიზუვიდას!

☎ 2-900-800

[www.aversi.ge](http://www.aversi.ge)



# საქართველოში მედიცინის დარგში მინიჭებული და უტინიკებში გახსნილი „ბრწყინვალების არსკვლავი“



2010-11 წელი  
(პედიატრის – ირ. ციციშვილის – „ბავშვთა ახალ კლინიკაში“)



2012-13 წელი. (ქირურგის – ლ. ჭაჭიაშვილის – „რკინიგზის საავადმყოფოში“ – დიღომში)



2013-14 წელი  
(ნეიროქირურგის – შ.ხევსურიალის – „№1 საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ დეპარტამენტში“)



2015 წელს  
მედიცინის დარგში „ბრწყინვალეების ვარსკვლავი“ მიენიჭა დედაწამოსილ რეგმენტოლოგს, ღირსების ორდენისან ქალბატონ ნ. ტატიშვილს

## ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის „ოქროს ბუმბულის“, „ოქროს ტანცეტის“ და „ოქროს სტეტოსკოპის“ მფლობელები



ოქროს ბუმბული



პროფესორი ნუზარ ალექსიძე (2017 წ.)



პროფესორი ანატა პერვალისვილი (2018 წ.)



პროფესორი თინათინ ჩიქოვანი (2019 წ.)



პროფესორი თამაზ ბაცივაძე (2020 წ.)



ოქროს ლანცეტი



პროფესორი რამაზ კუტუბიძე (2017 წ.)



პროფესორი ზურაბ პაპაბაძე (2018 წ.)



პროფესორი მერაბ ჯანელიძე (2019 წ.)



პროფესორი ბიბი თომაძე (2020 წ.)



ოქროს სტეტოსკოპი



პროფესორი ვაჟა გვანცველაძე (2017 წ.)



პროფესორი ბურჯან რცხვილაძე (2018 წ.)



პროფესორი ნუზარ უბერი (2019 წ.)



პროფესორი მარამან შალავა (2020 წ.)



წლის რჩეული სამართველოში



პროფესორი ბიორბი ჩახუნაშვილი (2017 წ.)



ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი (2018 წ.)



პროფესორი ნიკოლოზ ანდრიაძე (2019 წ.)



კომპანია „ავერსის“ დამფუძნებელი ანატოლი კუჭტანიძე (2020 წ.)